საქ. სსრ ქ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 283 (19425) ◆ ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

ალმშენებლობის, წინსვლის პერსპექტივები

ვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს— საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობა უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყნისა და რესპუბლიკის მშრომელები გულდაჯერებით შრომობენ პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის. შრომითი კოლექტივები, ცალკეული ადამიანები ყოველი ღონით ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ სკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

საქართველოს მშრომელების წინაშე დასახული მასშტაბური ამოცანების უთუო შესრულებისათვის მისწრაფებაში მთავარი ორიენტირებია პარტიის საყრილობო დოკუმენტები, რომელთა განხილვა ახლა დიდი აქტიურობით მიმდინარეობს. საქართველოს მშრომელები სიტყვითა და საქმით, შემოქმედებითი შრომით ადასტურებენ, რომ გულმხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის სტრატეგიულ გეზს, ღრმად იწონებენ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტებს.

სესიის მთელი მუშაობა, დეპუტატთა გამოსვლები გამსჭვალული იყო იმის ღრმა რწმენით, რომ საქართველოს მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ამრავლებენ მიღწეულსა და მოპოვებულს, მთელ შემოქმედებით შრომას, ენერგიას, მეცადინეობას მოახმარენ მიმდინარე ხუთწლედის და მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა, პარტიის მიერ დასახული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შესრულებას. სესიაზე ითქვა, რომ სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, წლეულს ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგების უმეტესობა სასურველ საბოლოო შედეგებს აღწევს. უზრუნველყოფილია ეკონომიკური განვითარების სტაბილური ტემპი, გაუმჯობესდა საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება. წინასწარი მონაცემებით დადასტურებულია, რომ ხუთი პროცენტით გადიდდება რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი. მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და წარმოების შემდგომ განვითარებას მოხმარდება ათ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების მატერიალური დოვლათი. ერთი სიტყვით, სამრეწველო წარმოების ზრდის წლევანდელ გეგმასა და მთლიანად ხუთწლედის დავალებას წარმატებით ასრულებს რესპუბლიკის საწარმოთა დიდი ნაწილი. უთუოდ თვალსაჩინოა საქართველოს მეჩაიეთა მიღწევები, რომლებმაც წელს 581 ათასი ტონა ჩაი მოკრიფეს და ხუთწლიან გეგმას 51 ათასი ტონით გადააჭარბეს. წარმატებით შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის, კარტოფილის, ციტრუსის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმა. ისიც აღსანიშნავია, რომ წლეულს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ამოქმედდება 2482 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება— ექვსი პროცენტით, ხუთწლედში კი 2,6 პროცენტით გაიზრდება. თანამიმდევრულად ხორციელდება ხალხის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების ვრცელი პროგრამა. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ მარტო ხუთწლედის მანძილზე საბინაო პირობები ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა გაიუმჯობესა.

ცხადია, როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, მიღწეულისა და მოპოვებულის ნათელ ფონზე ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია მუშაობაში. შესამჩნევი ნაკლოვანებები ჰქონდათ სათბობის, ქიმიური მრეწველობის, მინერალური სასუქების მწარმოებელ და ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოებსა და გაერთიანებებს. სამწუხაროდ, სერიოზულად ჩამორჩებიან რესპუბლიკის მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის და სხვა სამინისტროები, რომლებიც ვერ გაუტოლდნენ ხუთწლედის მიჯნებს. ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში, აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობაში, მომსახურების სფეროს მუშაობაში. ეს და სხვა ნაკლი იმის ბრალიცაა, რომ ადგილებზე ზოგიერთი სამეურნეო ორგანო ნელა ირჯება ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, არ ჩქარობს მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდზე გადასვლას. ბევრგან დაბალია ორგანიზატორული მუშაობის დონე სახალხო მეურნეობის დარგებში. ისიც ითქვა, რომ ცალკეული სამინისტროები და საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, ნედლეულის, სათბობის, მასალების ყაირათიან ხარჯვას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ერთი სიტყვით, მრავალ სამეურნეო ხელმძღვანელს ძველებური მუშაობის ელფერი ადევს და ვერ ეგუება ახალ მოთხოვნებს და გაზრდილ ამოცანებს.

ყოველივე ეს, ცხადია, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, ძირეულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, საბჭოების ყველა საფეხურის დეპუტატებს ავალებს უფრო გულმოდგინედ, მონდომებით, მეტი მომთხოვნელობითა და სიმკაცრით მოეკიდონ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის პრაქტიკულ მუშაობას, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ დახმარებასთან ერთად კანონით გათვალისწინებული სანქციები განახორციელონ იმათ მიმართ, ვინც არ უწყობს ფეხს თანამედროვე წინსვლას, თავისი უნიათობით და უპასუხისმგებლობით ხელს უშლის საერთო საქმეს.

რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიის მიერ დასახული გზით წინსვლა მოითხოვს ცხოვრებით წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისადმი შემოქმედებით მიდგომას, მტკიცე დისციპლინას და თავდადებას. უნდა ვილვაწოთ იმისათვის, რომ ავამოქმედოთ რეზერვები, გამოვიყენოთ ისინი მაქსიმალური უკუგებით. ყოველივე ეს ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულება უნდა გახდეს მომავალი წლის, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულების საქმეში. გაისად, როგორც სესიამ დაამტკიცა, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 5,8 პროცენტით გაიზრდება. ათვისებული იქნება 218 ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის 70 დასახელების მანქანები, მოწყობილობები, ხელსაწყოები და აპარატები. გაიზრდება უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება, დიდი სამუშაოები შესრულდება მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის. გაძლიერდება წარმოების ინტენსიფიკაცია. ერთი სიტყვით, დიდი წინსვლაა დასახული მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ხალხის სოციალური და კულტურული დონის ამაღლებაში, მომსახურების დარგების განვითარებაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მოსახლეობის ფართო ფენების მასობრივად ჩაბმაში. მნიშვნელოვნად განვითარდება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ეკონომიკა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. დიდი მუშაობა მოელით ჩვენი დედაქალაქის ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებს, რომელთა მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს სესიის დადგენილება თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

საქართველოს მშრომელებს ახლა ხელთა აქვთ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სათანადოდ დასაბუთებული გეგმა, რომელიც სწორად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივას და, უპირველეს მნიშვნელობას იძენს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების საქმეში. ეს საგეგმო დავალებები იმითაც გამოირჩევა, რომ მიზნად ისახავს მეურნეობრივ ინტენსიურ მეთოდებზე პრაქტიკულ გადასვლას. მათში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყაირათიანობასა და მომჭირნეობას, ინდუსტრიული მეთოდების საყოველთაო დანერგვას, მტკიცე ბრძოლას მფლანგველობის, სახსრებისა და მასალების უყაირათო ხარჯვის თავიდან აცილებისათვის. მუშაობაში გეგმიანობა, დისციპლინა, წესრიგი უნდა დამყარდეს ყველა რგოლში და უბანზე. ამ საქმეში მეწინავეთა შორის უნდა იყვნენ საბჭოების ყველა რგოლის დეპუტატები, დეპუტატთა ჯგუფები, მუდმივი კომისიები და აქტივისტები, მათი თვალი უნდა წვდებოდეს მეურნეობის ყველა დარგს, ყველა უბანს. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სახალხო მეურნეობის დარგებში გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდეს.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-

მარიკა ბარათაშვილი ●●

ბავშვების სახელით

ჟენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის პერიოდში მსოფლიოს 87 ქვეყნის 5.000-ზე მეტმა ბავშვმა წერილები გაუგზავნა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს (გაზეთებიდან).

გთხოვთ, ჩვენი პლანეტის
იმ ბავშვთა სახელით,
ვისაც აქვს უფლება
დღე ჰქონდეს ნათელი,
ვისზეც არ ვრცელდება
სიკვდილის კანონი,
არიან ბედმავნი
და უსახლკარონი
და ვისაც ერგება
სითბოც და ალერსიც,
ადამის კანონით
ნამდვილ, უმაღლესით —

ამ ბარათს იმათი სახელით
გწერთ,
პო, იმ პატარების სახელით
გწერთ,
თქვენ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!

გპირდებით — პლანეტის
იმ ბავშვთა სახელით,
ვისაც აქვს უფლება,
დღე ჰქონდეს ნათელი...
ჩვენ, არგონავტები
იმ დიდი მომავლის,
ხალხთა საოცნებო
მარადის რომ არის,
ჩვენ, ანთებულები
წყურვილით შენების,
მომავლის პოეტნი
და აღმომჩენები,
თუ წუთისოფელი
როგორმე დავვცდის,
არ განმეორდება
დრამა ნაგასაკის,
ვიძლევით პირობას,
უეჭველ პირობას,
თავი ვისახელოთ
შრომით და გმირობით.

ოცდამეერთე რომ მოდის
საუკუნე,
ვინ უნდა აშენოს, თუ არა
ჩვენ!
გვაშორეთ ომების შიში და
უკუნი,
გთხოვთ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!

თორემ იქ... თავანი
ისე იქუფრება...
ნუ მისცემთ პლანეტის
მოსპობის უფლებას...
ვერ ვუძლებთ ბირთვული
ომების მოლოდინს,
გვაშორეთ სიკვდილი —
ზეიმი ბოროტის!

ჩვენ გვინდა ვუცქერდეთ
მხიარულ ვარსკვლავეთს,
უნისლო მთვარეს და
ბრდღვიალა მზეს!
ულრუბლო ბავშვობის გზები
მიგვასწავლეთ,
გთხოვთ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!

მოწინავეთა მხარდამხარ

მარმარილოს მომპოვებელთა ხუთწლედი

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სალიეთის მარმარილოს მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა წლიური დავალების ვადამდე შესრულება. ერთი თვის წინათ კი მარმარილოს მომპოვებლებმა შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. ეს წარმატებანი მუშაობის ტემპისა და ხარისხის გაუმჯობესების, ორგანიზებულობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვის, სათბობისა და ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვის შედეგია.

ახლა მაღაროელები შრომითი ნობათებს უმზადებენ სკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

სალიეთის მარმარილო დიდად პოპულარულია საბჭოთა კავშირში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. მას სიამოვნებით ყიდულობენ ფინეთი, გვინეა, ლიბია და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებიც.

სურათებზე: სალიეთის მარმარილოს მაღაროთსამმართველოს დირექტორი გუბაზ გოგსაძე ესაუბრება მოწინავე მექანიზატორს ზურაბ მოდებაძესა და მთავარ ინჟინერს მალხაზ ხვედელიძეს; მიმდინარეობს მარმარილოს მოპოვება.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინიციატორთა დევიზით: ახალი ტექნიკის

ათვისებას — პარტიული ზრუნვა

ყველა მაჩვენებლის მიხედვით

„საქყოფქიმიის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი დავალება. დამზადდა 134 მილიონი მანეთის პროდუქცია, აქედან 208,2 მილიონი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი. ეს 19,3 მილიონი მანეთით სჭარბობს ხუთწლიან გეგმას.

ხუთწლედის განმავლობაში სახალხო მოხმარების ქიმიური საქონლის ასორტიმენტი გაფართოვდა. საყოფაცხოვრებო ქიმიის ექვსი სახეობის ნაწარმი გამოდის სიახლის ინდექსით. მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობების მოდერნიზაციისა და ტექნიკური განახლებისათვის. ამოქმედდა რვა მექანიზებული ხაზი, აგრეთვე 100 ავტომატი და ნახევარავტომატი.

დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოებზე ხელის შრომის წილის შემცირების მიზნით დაინერგა მზა პროდუქციისა და სხვა მასალების კონტეინერიზაცია.

განხორციელდა ღონისძიებანი საწარმოო, ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ესთეტიზაციისათვის. გაერთიანების მშრომელებმა მიიღეს საუკეთესო საქტო დარბაზი და სასადილო.

შრომაში კარგ შედეგებს მიაღწიეს ივრის ლაქსადგურის ქარხნის კოლექტივმა, ლილოს მეთაური ქარხნის ბრიგადის მუშებმა ე. ოსიაშვილმა, ც. ზაზუნიშვილმა, თ. მეკოკიშვილმა. საუკეთესოთა შორის დასახელებული არიან ოპერატორები მ. მარტიაშვილი, ე. დოლმაზოვა, ნ. მოსკვიჩოვა, დ. გელაშვილი.

ხუთწლედის დამლევამდე გაერთიანების კოლექტივი ტემპის შეუნელებლად გამოუშვებს 4,2 მილიონი მანეთის დამატებით პროდუქციას.

სრულყოფენ ტექნოლოგიურ ციკლებს

წყალტუბო. (საქ. კორ. დ. გუდენიძე). „საქგუმბრინის“ მაღაროთსამმართველოში დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკურ განახლებას. აქ ახლა მონტაჟდება ახალი კონსტრუქციის თიხასაჭრელი, რომელიც მნიშვნელოვნად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, დაზოგავს დიდძალ სათბობს. მოქმედებს რაციონალიზატორ-გამომგონებელთა [illegible] მუშაობის ძირითადი მიმართულება ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა.

სამმართველოს კოლექტივმა სკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის იკისრა კონკრეტული ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე ხუთწლედში 422 ათასი ტონა დაფქვილი გუმბრინის წარმოებას, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 404 ათასი ტონისა.

ახალი გადიდებული ვალდებულებების შესასრულებლად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სამმართველოში დღითი დღე იზრდება იმათი რიგები, ვინც მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. ესენი არიან სკპ XXVI ყრილობის დელეგატი, ზეინკალი გ. სინაურიძე, ექსკავატორის მემანქანეები შ. გოიევი, ს. დემჩენკო, მებულდოზერე ს. ნალევაიკო, გვირაბგამყვანი რ. მიქაძე და სხვები.

საწარმოში სწრაფად და თანმიმდევრულად ხორციელდება კოლექტივის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესები. მიმდინარე ხუთწლედში აშენდა საცხოვრებელი სახლები 104 ოჯახისათვის, წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ ახალი 50-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურება ახლახან აგებული მუშათა პროფილაქტორიუმი თავისი სპორტული ბაზით. თვით სამმართველოში მოქმედებს სრული სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით. ფართოვდება მუშათა კლუბი, სრული დატვირთვით მუშაობს ახალი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.

დავზოგოთ სათბობი და ენერგია

გაზის ხარჯვისადმი უყაირათო დამოკიდებულების გამო დეკემბრის პირველ დღეებში მისი წნევა შემცირდა. ზოგიერთი რაიონი ამ სახეობის სათბობს მოკლებული აღმოჩნდა, მათ შორის ქალაქებიც თელავი და ქუთაისი.

სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა საცხოვრებელი სახლებისა და სახალხო-სამეურნეო ობიექტების გაზით მომარაგება ნორმალურია. მაგრამ მთელი რიგი საწარმოები და ზოგიერთი რეგიონიც კი ვერ იცავს გაზის მოხმარების ნორმებს. ეს ეხება ხაშურს, ბორჯომს, დუშეთს.

აცივებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი გამოყენების პრობლემა. უქმად დახარჯული ყოველი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გრამი სათბობი აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს წარმოებას, იწვევს სიცივეს და დისკომფორტს ბინებში, სამუშაო ადგილებზე.

საქმთავარენერგოსა და ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, გაზის სახელმწიფო კომიტეტის ინსპექციების მიერ მოწყობილი შემოწმებები ცხადყოფს, რომ საწარმოთა ყველა ხელმძღვანელმა როდი დაუწესა ჯეროვანი კონტროლი ენერგორესურსების ხარჯვის აღრიცხვას, მათ ეფექტიან გამოყენებას.

რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნავთობპროდუქტებს. საწარმოებს და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებს ნავთობპროდუქტებით მკაცრად გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოფენ. მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული მომხმარებლებზეც, სათბობი რესურსებისადმი მათს ყაირათიან დამოკიდებულებაზე. გამოანგარიშებულია — მარტო იმის გამო, რომ სასწრაფო დახმარების ავტომანქანები აღჭურვილი არ არის რადიოქსელით, სათბობის არამწარმოებლური ხარჯები ყოველთვიურად დაახლოებით 500 ლიტრს შეადგენს.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს, რომლებიც განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე, პრინციპული შეფასება მისცეს. შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ზამთრის პერიოდში სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა. (საქინფორმი).

რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს თბილისის უძველეს საწარმოს — „კამვოლ-მაუდის“ კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“. მაგრამ აქაურ მესვეურთა დაინტერესება იმით, რომ შექმნან მომხმარებლისათვის მოსაწონი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

სავაჭრო ორგანიზაციებში გაუსაღებლად აწყვია კომბინატის პროდუქცია. საწარმოს ზენორმატიულმა ნაშთმა 33 მილიონ მანეთს მიაღწია. ვერ შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა. ამ მაჩვენებელმა 85,5 პროცენტი შეადგინა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ლ. ქინქლაძე შეხვდა კომბინატის მთავარ ინჟინერს ომარ თეთრაშვილს და შემდეგი კითხვებით მიმართა მას.

◆ რატომ ჩამორჩა საწარმო?

◆ რა ღონისძიებები ხორციელდება მდგომარეობის გამოსასწორებლად?

◆ შეძლებთ თუ არა მოკლე ხანში მოწინავე პოზიციებზე გასვლას?

— საწარმოს ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი, — თქვა მან, — ის გახლავთ, რომ 1983-1984 წლებში კომბინატში დამზადებულ ნაწარმზე მოთხოვნა შემცირდა. ეს ბაზრის კონიუნქტურის საერთო ცვლილებებითაც გამოიხატება, მაგრამ ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენს ნაწარმზე უარი თქვეს უკრაინის, რსფსრ-ის და ბელორუსიის მომხმარებლებმა, ვინაიდან მათ უპირველესად საკუთარი წარმოების ქსოვილების გასაღება აინტერესებდათ. არადა, ეს რესპუბლიკები ჩვენი ძირითადი მომხმარებლები იყვნენ. საერთოდ კი კომბინატში დამზადებული ქსოვილების 90 პროცენტი რესპუბლიკის გარეთ იგზავნება... ბაზარზე რომ ჩვენი ქსოვილები მოსწონებოდათ, საჭირო იყო ზრუნვა კონიუნქტურუნარიანი ქსოვილების გამოსაშვებად. დიდი მოცულობის გასასაღებელი პროდუქცია დაგროვდა და მოძველებული ასორტიმენტის ნაწარმს, აბა ვიღა შეიძენდა.

ასე აღმოჩნდა თბილისის კამვოლ-მაუდის ქსოვილები უგულებელყოფილი. ცხადია, კომბინატის მთელი კოლექტივის საზ-

სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს

ამას არ ველოდითო!

რუნავი უნდა გამხდარიყო ასორტიმენტის განახლება მომხმარებელთა სურვილების უთუო გათვალისწინებით. შეიძლებოდა ახალი ასორტიმენტის მრავალფეროვანი ქსოვილები მცირე რაოდენობით დამზადებულიყო, და თუ მომხმარებელი მოიწონებდა, შემდეგ დიდი რაოდენობით გამოშვებულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მომხმარებელთა სურვილები არავინ გაითვალისწინა. სწორედ ამიტომ 1984 წელს კამვოლ-მაუდური ჯგუფის ქსოვილები არავის შეუსყიდია, მხოლოდ მაუდური ტიპის ქსოვილები მოითხოვეს და ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. დღეისათვის 33 მილიონი მანეთის გაუსაღებელი პროდუქცია აქვს კომბინატს და რესპუბლიკის ეკონომიკას იგი მძიმე ტვირთად აწევს.

მიმდინარე წლის ათი თვის რეალიზაციის გეგმა 85,5 პროცენტით შესრულდა. მართალია მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიწყო ღონისძიებების განხორციელება, მაგრამ საქმე ასე მალე ვერ მოგვარდება. უკვე განვაახლეთ კამვოლური ჯგუფის ქსოვილების 30 პროცენტი. ამიტომ მომავალი წლისათვის შედარებით მეტმა მომხმარებელმა გამოთქვა სურვილი შეიძინოს ჩვენი პროდუქცია. ძველი ასორტიმენტიდან ამოვიღეთ ხუთი სახეობის ქსოვილი, ავითვისეთ 6 ახალი დასახელების ნაწარმის გამოშვება. ამის შედეგად კამვოლური ქსოვილები 100 პროცენტით უნდა გასაღდეს, მაუდისა კი 25 პროცენტით. საქმე ის არის, რომ მაუდური ქსოვილების განახლება ვერ მოესწრო, სამი სახეობის ნაწარმი თითქმის 15-20 წელია გამოდის და სავალალო ის გახლავთ, რომ მათ წარმოებას მთლიან მოცულობაში 70 პროცენტი უკავიათ. ამგვარად, ჩვენი უპირველესი ამოცანაა მაუდური ქსოვილების 100 პროცენტით განახლება.

ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. ამჟამად ძველი ასორტიმენტიდან მხოლოდ ხუთს ვაწარმოებთ. წლეულს მოსკოვში სამხატვრო საბჭოზე მაუდის ხუთი ახალი ქსოვილი გავგზავნეთ და ხუთივე სიახლის ნიშანზე წარადგინეს. მომხმარებელს მივაწვდით 6 კამვოლურ და 12 მაუდური ტიპის ქსოვილს. საწარმოში უნიფიცირებულია ნართი.

მომხმარებელი უკმაყოფილოა ჩვენი პროდუქციის ღირებულებით. ზოგს მოსწონს ქსოვილი, მაგრამ ეძვირება და უარს ამბობს მის შეძენაზე. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვაობა საბითუმო და საცალო ფასებს შორის. დინამიკა გვიჩვენებს: თუ 1981 წელს ეს სხვაობა რაღაც კაპიკებით განისაზღვრებოდა, დღეისათვის იგი მკვეთრად გაიზარდა და 12-18 მანეთს მიაღწია. ამიტომაც მომხმარებელი გვერდს უვლის ძვირ ნაწარმს და იაფ საქონელს ეძებს. მთავარ ყურადღებას ვუთმობთ შემსუბუქებული ქსოვილების დამზადებას. ადრე კვადრატული მეტრი ქსოვილი 800 გრამს იწონიდა, ახლა კი 300 გრამით ნაკლებია. კარგი იქნება, თუ კომბინატში დამზადებული პროდუქციის ფასები რესპუბლიკაში დამტკიცდება და მჭიდრო კავშირი გვექნება დამყარებული ადგილობრივ სამკერვალო ფაბრიკებთან. თუ სამკერვალო ფაბრიკების ხელმძღვანელები ჩვენს კომბინატში დამზადებულ პროდუქციას მოითხოვენ და მისგან სხვადასხვა სახეობის ტანსაცმელს შეკერავენ, ეს დიდად შეუწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ვინაიდან ფაბრიკის სპეციალისტების სურვილების გათვალისწინება საქმეს მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

კომბინატში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მუშაობა დაიწყო. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს, იმედს არ ვკარგავთ, საწარმო უთუოდ აღიდგენს დაკარგულ პოზიციებს და გაიუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

რედაქციისაგან: თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში შექმნილი მდგომარეობა დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია. საქმისადმი ხელმძღვანელების გულგრილმა დამოკიდებულებამ საწარმო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. ეს დაიწყო 1983 წლიდან, როცა აქ 6 მილიონი მანეთის გაუსაღებელი პროდუქცია დაგროვდა. ამ ფაქტისათვის, სამწუხაროდ, ყურადღება არავის მიუქცევია, კომბინატი „არხეინად“ განაგრძობდა ზენორმატიული ნაშთების ზრდას და მიაღწია კიდეც „მიზანს“: 1984 წელს მის საწყობში 27 მილიონი მანეთის ჩაწოლილი ნაწარმი აღმოჩნდა. მერე ხომ არ გგონიათ ამან ვინმე აღელვა! არა, ზენორმატიული ნაშთების ზრდისათვის „მუშაობა“ გრძელდებოდა, და აი, როცა ნაშთმა 33 მილიონ მანეთს მიაღწია, მიხვდნენ, რომ ეს ხელმძღვანელების ბრალიც იყო და განთავისუფლეს ისინი.

რატომ თავიდანვე არ დაიწყო ბრძოლა ურთულესი სიტუაციიდან თავის დასაღწევად, რატომ არ ატეხეს განგაში, როცა ჯერ მხოლოდ 6 მილიონი მანეთის ზენორმატიული ნაშთი დაგროვდა, ადმინისტრაციის გარდა სად იყო პარტიული ორგანიზაცია, პროფკავშირის კომიტეტი, მისი აქტივი, კომკავშირი? რატომ გრძელდებოდა საწყობისათვის და არა მომხმარებლისათვის მუშაობა? ამას არ ველოდითო. აბა, რას ელოდნენ გულხელდაკრეფილნი? ამ კითხვებზე პასუხი ვერავინ გაგვცა.

სამარადჟამოდ დაბადებული

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს“.

— ეს შეეძლო ეთქვა მხოლოდ კაცს, რომელმაც მთელი თავისი არსება პოეზიას მიუძღვნა. ტიციან ტაბიძე თავდადებით ერთგულობდა ლიტერატურას, მისი მაგიოო სიმბოლო და ჭეშმარიტი რაინდი პატიოსანი და შთაგონებული შემოქმედი იყო. მშობლიურმა მიწამ დაანათლა მას სიკეთე, კეთილშობილება, ვაჟკაცობა, და პოეტმა ისე ამაღლებულად, გულში ჩამწვდომად და მაღალმხატვრულად უმღერა მამულს, როგორც ეს მხოლოდ რჩეულთ ხვდებათ.

ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალებით იყო აღსავსე ტიციან ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა: მაგრამ მისი სიცოცხლის ამ წლებში, რომელიც მას ბედმა არგუნა, პოეტმა ბევრი რამ მოასწრო. მის საოცარ პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული არაჩვეულებრივი ნიჭი და უდიდესი მოქალაქეობრივი ტემპერამენტი, კეთილშობილება და სულგრძელობა. მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი შემოქმედებით დაამტკიცა მან, თუ როგორი უნდა იყოს პოეტი, როგორია მისი ადგილი. ამქვეყნად. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი, იმ იშვიათი ნიჭით, რომ ყოფილიყო შემაერთებელი რგოლი საბჭოთა პოეტების სულიერ ცხოვრებაში. ტიციან ტაბიძე რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მდიდარი ტრადიციების განმგრძობია. იმ გულითადი მეგობრობის წყალობით, რომელიც მას ბორის პასტერნაკთან, ანა ახმატოვასთან, პაველ ანტოკოლსკისთან, ნიკოლოზ ტიხონოვთან, სხვა შესანიშნავ ლიტერატორებთან აკავშირებდა, ეს ურთიერთობა ახალი წახნაგებით აელვარდა, ახალი ჟღერადობა შეიძინა.

ტიციან ტაბიძის შემოქმედება, რომელშიც შერწყმულია ნიჭისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის ძალა, მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ფარულის ფასდაუდებელი მარგალიტია. მისი ლექსები, რომლებიც სულ ახალ-ახალ თაობათა კუთვნილება ხდება, სიკეთისა და სამართლიანობის, ჰარმონიისა და სილამაზის იდეალებს ამკვიდრებენ.

ტიციან ტაბიძისადმი თანამედროვეთა ღრმა მადლიერების, ხალხის სიყვარულის გამოხატულება გახდა საიუბილეო საღამო, რომელიც პოეტის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. იგი გაიმართა 9 დეკემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სცენაზე, რომლის სიღრმეშიც ჩანდა ლირიკოსის უზარმაზარი პორტრეტი, ადგილები დაიკავეს საიუბილეო კომისიის წევრებმა, ქართველმა მწერლებმა, სტუმრებმა.

საიუბილეო საღამოზე მოვიდნენ ამხანაგები ჯ. პატიაშვილი, გ. ანჩაბაძე, გ. გაბუნია, გ. ენუქიძე, გ. ნიკოლსკი, დ. ქართველიშვილი, თ. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ნიშნიანიძემ.

სიტყვა პოეტზე წარმოთქვა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა მწერალმა თ. ბუაჩიძემ.

ტიციან ტაბიძეზე — მოხიბვლელ ადამიანსა და ფაქიზ შემოქმედზე ილაპარაკეს სომეხმა და აზერბაიჯანელმა მწერლებმა ლ. მკრტიჩიანმა და დ. ალიევამ, რუსმა კრიტიკოსმა მ. კარალოვამ, მწერალმა აკადემიკოსმა გ. აბაშიძემ, პროფესორმა ს. ცაიშვილმა. ახალგაზრდა პოეტებმა ნ. სოკოლოვსკაიამ და ი. კუტიკმა დამსწრეთ გააცნეს ტიციან ტაბიძის ლექსების თარგმანები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა პოეტებმა ჯ. ჩარკვიანმა და რ. ამაშუკელმა წაიკითხეს ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

საღამო დააგვირგვინა პოეტ-აკადემიკოსის ი. აბაშიძის გამოსვლამ, რომლის შთაგონებული სიტყვა უფრო მეგობარსა და თანამოსაგრეზე აიტაცეს საიუბილეო ზეიმის ყველაზე ნორჩმა მონაწილეებმა — ანსამბლ „მართვეს“ მომღერლებმა. მათ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერი“ სიმბოლურად გამოხატავდა თაობათა მემკვიდრეობითობას, ტიციან ტაბიძის პოეტური ჩანგის უკვდავებას.

...ოპერის თეატრში ამ საღამოს არაერთხელ გაისმა ტიციან ტაბიძის წინასწარმეტყველური სტრიქონები:

„დავიბადებულვარ, რომ ვიყო
მონა
და საქართველოს მედგან
უდელი;
მაშ, გამარჯვება, ტკბილო
სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ
განუყრელი“.

საქართველოსთან, მის ხალხთან, მის პოეზიასთან განუყრელად არის დაკავშირებული ტიციან ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება. დედამიწაზე, ადამიანთა გულშია მისი ადგილსამყოფელი. ჩვენთან და იმათთან ერთად, ვინც ჩვენს მერე მოვა.

საიუბილეო საღამო დაამშვენა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებმა.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

გავზარდოთ მომთხოვნელობა თითოეულისადმი

ქალაქ გორის 490 კომუნისტი ანგარიშით წარუდგა პარტიულ კრებებს, რომლებმაც დაამტკიცეს მათი პარტიული დახასიათებები. კომუნისტთა ანგარიშებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სწორია დებულებანი სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტისა, რომელსაც ახლა საყოველთაოდ იხილავენ და რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას პარტია განუყრელად უკავშირებს კადრებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ყველგან, თავით ბოლომდე განუხრელად იცავდნენ კადრების შერჩევისა და შეფასების ლენინურ პრინციპებს პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით, უფრო სრულად ითვალისწინებდნენ საზოგადოებრიობის აზრს“.

სწორედ კადრებთან მუშაობის ანალიზი, რომელსაც პარტია უკავშირებს ყველა დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, წამოწიეს წინა პლანზე გორელმა კომუნისტებმა თავიანთ კონფერენციაზე.

საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ჩუბინიშვილმა, გამომსვლელებსა და კამათში ხაზგასმით აღინიშნა, რომ თავის საკადრო პოლიტიკაში საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა პარტიის მოთხოვნით — დავაწინაუროთ პასუხსაგებ უბნებზე პოლიტიკურად მომწიფებული, მაღალზნეობრივი, კომპეტენტური, ინიციატივიანი მუშაკები კომუნისტთა და უპარტიოთა რიგებიდან. იგი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელმძღვანელის ისეთ თვისებებს, როგორიც არის სიახლის გრძნობა, მზადყოფნა თავად იკისროს პასუხისმგებლობა, სურვილი—იმუშაოს უკეთ, უნარი—გაითვალისწინოს მეურნეობრიობისა და ადამიანებთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის პოლიტიკური აზრი, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი.

თვისებრივად შეიცვალა პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების შემადგენლობა. დღეს მათ შორის 86,8 პროცენტი უმაღლესი განათლებით არის, 53,8 პროცენტს ქალები შეადგენენ. პარტიული ორგანიზაციების წინამძღოლთა საშუალო ასაკია 38 წელი.

გორის კომუნისტთა ავანგარდული როლი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გაძლიერებაში, წარმოებისა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მათს ფართოდ ჩაბმაში ნათლად წარმოჩინდა წარმატებებით, რომლებითაც ქალაქის მშრომელები შეეგებნენ პარტიულ კონფერენციას.

საანგარიშო პერიოდში გორელებმა აწარმოვეს შვიდი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. კარგი ტემპით ვითარდებოდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. წინა ხუთწლედთან შედარებით 21 პროცენტით გაიზარდა მისი მოცულობა. ამასთან სამრეწველო პროდუქციის მატების 95 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება კი 20 პროცენტით გადიდდა.

გაუმჯობესდა გორელთა შრომისა და ყოფის პირობები, მათი კეთილდღეობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 13 პროცენტით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. 1500 ოჯახმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინები.

გორი დაამშვენა სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, საავადმყოფოების, საცურაო აუზების, კინოთეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ახალმშენებლობებმა.

ამ წარმატებებში გადამწყვეტი როლი შეასრულეს კომუნისტებმა, რომლებიც სრულად აგებენ პასუხს დაკისრებული საქმისათვის, სწორად აგვარებენ თავიანთ ურთიერთობას ადამიანებთან, შთააგონებენ მათ პირადი მაგალითით.

კონფერენციაზე დაასახელეს ასეთი კომუნისტები. ესენი არიან საწარმოო გაერთიანება „დილის“ ხელმძღვანელები დ. სანაკოევი და ვ. სამნიაშვილი, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოს ხელმძღვანელები მ. ლაცაბიძე და ლ. რაზმიაშვილი, საკონსერვო ქარხნისა — ო. სოსანიძე და ო. ანანიაშვილი.

ჯეროვნად შეაფასა რა თავიანთი შრომითი კოლექტივების ამ და სხვა წინამძღოლთა მუშაობა, კონფერენციამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ნაკლოვანებებს, ხარვეზებს ორგანიზატორულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში.

განსაკუთრებული შეშფოთებით ილაპარაკეს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში შექმნილი ვითარების შესახებ. აქ არ სრულდება დავალებანი არც ერთი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, არ ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დისპროპორცია სართავი, საქსოვი და საჩითავი საამქროების საწარმოო სიმძლავრეებს შორის.

გაერთიანებაში შექმნილმა მძიმე სიტუაციამ ცხადყო, რას იწვევს კადრებთან მუშაობის შესუსტება, კომუნისტთა როლის დაქვეითება. მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე საწარმოში მოსული 60 ახალგაზრდა ინჟინრიდან არც ერთი არ დაუწინაურებიათ ხელმძღვანელ სამუშაოზე. ამავე დროს ბევრ პასუხსაგებ საწარმოო უბანს სათავეში უდგანან ადამიანები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს სხვა ობიექტებზე მუშაობას. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად გააკრიტიკეს კომუნისტები, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კოლექტივში აღმზრდელობით მუშაობას (გაერთიანების დირექტორი მ. ნიჟარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. კაჭკაჭიშვილი).

კონფერენციის დელეგატებმა ცნობად მიიღეს ის ფაქტი, რომ ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განიხილეს ეს საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უნდა გახდეს გაერთიანების კომუნისტთა, ყველა მშრომელის სამოქმედო პროგრამა.

ბევრი საყვედური გამოიწვია ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობამ. გორელები სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, წყალსადენი კი აქ 1978 წლიდან შენდება.

ოცი მშენებარე ობიექტიდან თითქმის ნახევარზე ვერ სრულდება სახელმწიფო გეგმები. ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს ტრანსპორტის, სავაჭრო ორგანიზაციებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობა.

და აქ, ისევე როგორც ყველგან, საჭირო არიან კომპეტენტური, ინიციატივიანი ხელმძღვანელები, რომლებსაც უნარი შესწევთ გაუძღვნენ ადამიანებს, გააძლიერონ კონტროლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე. წელს გორის ჩამორჩენილ საწარმოებში შეცვალეს ხელმძღვანელები. კომუნისტებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მნიშვნელოვან უბნებს, საქმით უნდა გაამართლონ გაწეული ნდობა.

ამ დღეებში მიმდინარეობს საყრილობო დოკუმენტების — სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული შესწორებებითურთ პარტიის წესდების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებათა პროექტების საყოველთაო განხილვა. აქტიურად მონაწილეობენ ამაში გორის კომუნისტები, ყველა მშრომელი. ისინი ეძებენ წარმოების ეფექტიანობის გადიდების გზებს, ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი.

(საქინფორმი).

მეტის გაკეთება შეიძლებოდა

ფიქრები მეზღვაურ კომუნისტთა ფორუმის შემდეგ

ყოველდღიურად სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო . საქონლით დატვირთული ასობით საბჭოთა თუ უცხოური გემი შემოდის ბათუმის ნავსადგურში. თავის მხრივ მსოფლიოს დაახლოებით ორმოცდაათი ქვეყნის 150-მდე ნავსადგურში უშვებენ ღუზას საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდები. ერთობ რთული, ძნელი და მრავალფეროვანია ჩვენი სანაოსნოს კოლექტივის სამუშაო, რომლის წევრებიც ნაყოფიერად ირჯებიან დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის.

შედეგებიც არ არის ურიგო: შარშან სანაოსნო დაჯილდოვდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო ტანკერების „ხერსონისა“ და „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის“ ეკიპაჟები — სამინისტროს ვიმპელებით. საპატიო სიგელებით აღინიშნა 95 მეზღვაურისა და დოკერის შრომა. წლეულს აგვისტოში კი სანაოსნოს კოლექტივმა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში სანაოსნოს ფლოტმა დაზოგა 15 ათასი ტონა პირობითი საწვავი, 8 ათასი ტონა საპოხი მასალა, დიდძალი ელექტროენერგია. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტმა მილიონ მანეთს გადააჭარბა. სანაოსნოში თანამიმდევრულად ინერგება მეცნიერების მიღწევები, თანამედროვე ტექნიკა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ საკმაოდ შეიძლება. მათ შესახებ იყო საუბარი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის VIII კონფერენციაზე. თუმცა, როდესაც წარმატებანი აღნიშნეს, მომხსენებელს — სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანს რ. ბერიძეს და კამათის მონაწილეებს არც ნაკლოვანებანი, მუშაობაში საკმაოდ არსებული ხარვეზები, ხელშემშლელი მიზეზები დაუმალავთ. პირიქით, მათ პირუთვნელად ილაპარაკეს სხვადასხვა უბანზე შექმნილი არასასურველი მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ კონკრეტულ პიროვნებებზე, იმათზე, ვინც ფეხს ვერ უწყობს მოწინავეებს, აფერხებს საერთო წინსვლას, ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებსა და საშუალებებზეც იმსჯელეს...

დიახ, ყველაფერი ეს იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი, რომელიც, თუმცა მთლიანად კონფერენცია საქმიანად, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მაინც ძალუმად იგრძნობოდა მის მუშაობაში, განსაკუთრებით კი კამათის მონაწილეთა სიტყვებში.

საქმე ის არის, რომ დელეგატთა აბსოლუტური უმრავლესობის გამოსვლა გაწეული მუშაობის შესახებ თვითანგარიშს უფრო წააგავდა და, შეიძლება ითქვას, მიზნადაც არ ისახავდა საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტის საქმიანობის ავ-კარგის გაანალიზებას, იმის წარმოჩენას, თუ რას დააკლო მან ხელი, ან პირიქით, რით დაეხმარა საერთო საქმეს დროული, კომპეტენტური ჩარევით, ცოცხალი პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით.

ამ მხრივ სათქმელი კი მართლაც საკმაოდ იყო. ამის საფუძველს თუნდაც თავად საქმიანი საანგარიშო მოხსენება იძლეოდა, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა ამ ბოლო ორი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ხოლო თუ ამას რამდენიმე დელეგატის გამოსვლაში მოყვანილ ფაქტებსაც დავუმატებთ, მაშინ, სანაოსნოს მშრომელთა ესოდენ კარგი საწარმოო მაჩვენებლების ფონზეც კი, ერთობ ხელშესახებად გამოიკვეთება მათს მუშაობაში არსებული ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანება, რომელთა ოპერატიული გამოსწორებისათვის უფრო კონკრეტულად რომ ეზრუნათ პარტიულ კომიტეტს, თითოეულ კომუნისტ მეზღვაურს, მიღწევები უთუოდ მეტი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მათ შესახებ წინა, მეშვიდე კონფერენციაზეც იყო ლაპარაკი, შეცვლით კი არსებითად ბევრი არაფერი შეცვლილა.

ავიღოთ თუნდაც ზოგიერთი გემის ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც, როგორც მოხსენებაშიც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში მიღწეული გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად მაინც სერიოზულ განგაშს იწვევს. კერძოდ ტანკერებზე — „მხატვარ ვლადიმერ სეროვსა“ და „საბჭოთა მხატვარზე“ მომხდარი მხოლოდ ორი ავარია სანაოსნოს საგრძნობი თანხა დაუჯდა. ზოგიერთ ტანკერზე კი, კერძოდ, „მიხა ცხაკაიაზე“, „მხატვარ კასიანზე“, „ალექსანდრე წულუკიძეზე“ სამჯერ და მეტადაც მოხდა ავარია. ასეთი ფაქტები იმას მოწმობს, რომ გემების ტექნიკური სამსახურების, სარემონტო ბრიგადების ყველა წევრს არა აქვს სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია.

წინა კონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ სანაოსნოში ზოგჯერ საკმაოდ დიდია კადრების დენადობა. ეს მტკივნეული პრობლემა ამჟამინდელი კონფერენციის დელეგატებმაც ახსენეს. ამას ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი იწვევს, მაგრამ თუ საკითხს ოდნავ მაინც ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ასეთი მდგომარეობა ზოგჯერ მნიშვნელოვანწილად იმ გულცივობის, დაუდევრობისა და უგულისყურობის შედეგიც არის, სანაოსნოს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მშრომელი ადამიანისადმი, კადრების საიმედო რეზერვის შექმნისადმი რომ იჩენს.

ასეთი ეპითეტების გამოყენება შეიძლება ვინმეს ძალიან მკაცრიც მოეჩვენოს, მაგრამ სხვაგვარად, აბა, როგორ უნდა აიხსნას თუნდაც ის ფაქტი, რომ რეისში მყოფი ზოგიერთი გემის, კერძოდ, „კომანდარმ ფედკოს“ ადმინისტრაციის მრავალგზისი განაცხადის მიუხედავად, აქაური მეზღვაურების ნახევარს თხუთმეტი და მეტი თვის განმავლობაშიც კი არ მიუღია შეცვლა?

და მით უფრო გაუგებარია, რომ მეზღვაურთა ასეთი ნაკლებობის პირობებშიც კი სანაოსნოში ყველა ერთნაირი მონდომებით არ ზრუნავს კადრების შენარჩუნებისათვის. ბევრგან, როგორც ეს მცურავი შემადგენლობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ თ. კახიძემ აღნიშნა, ისე ნაუცბათევად აკმაყოფილებენ სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე მეზღვაურთა სურვილს, რომ არც ცდილობენ გაერკვნენ იმაში, თუ რამ გამოიწვია მათი ასეთი გადაწყვეტილება.

ან კიდევ ასეთი ფაქტი: ტანკერ „მხატვარ გაბაშვილის“ ეკიპაჟმა, რომელმაც გადაწყვიტა ვადამდე და ხარისხიანად შეესრულებინა დავალებანი, მონდომებისა და კეთილსინდისიერი გარჯის მეოხებით ოცი დღით ადრე დაამთავრა გემის რემონტი ბულგარეთში, რითაც დიდძალი თანხა დაზოგა. მაგრამ შემდეგ სანაოსნოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ზოგიერთი სხვა სამსახურის მოუქნელი მუშაობის შედეგად 48 ათას მანეთზე მეტი დაკარგა. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა „ხერსონის“ ეკიპაჟიც, რომელმაც ასევე ვადამდე გაარემონტა გემი, ხოლო შემდეგ ბათუმსა და ფეოდოსიაში ათ-ათი დღე მოიცდა ტვირთის მოლოდინში და, ცხადია, საგრძნობლადაც იზარალა.

ამიტომაც სწორი იყო „ხერსონის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე ი. ბურსევიჩი, რომელმაც გულისტკივილით აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტების შემდეგ ძნელია დიდნაყოფიერი, პასუხისმგებლური გარჯისათვის მოუწოდებდე მეზღვაურებს, რომლებმაც საკუთარი მწარე გამოცდილებით იციან, რომ ზოგიერთი სანაპირო სამსახურის დაუდევრობით თუ უგერგილობით მათი მონდომება ხშირად შეიძლება მთლიანად წყალში ჩაიყაროს. ამიტომაც თქვეს კომუნისტმა მეზღვაურებმა, რომ მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალ წარმატებათა მოპოვების რეზერვები მხოლოდ გემებზე კი არა, სანაპირო სამსახურების საქმიანობის, ფლოტის დაგეგმვისა და მართვის მეთოდების გარდაქმნა-სრულყოფაშიც უნდა ვეძიოთ.

თუმცა როგორც საანგარიშო მოხსენებაშიც ითქვა და სანაოსნოს უფროსმა ჯ. ჭილღვარიამაც აღნიშნა, არც უშუალოდ ცალკეულ გემებზეა შრომის ორგანიზაცია სასურველ დონეზე. ამის მაგალითია თუნდაც ტანკერი „დავით გურამიშვილი“, რომელიც საბაზისო ნავსადგურში ათდღიანი მოცდენის შემდეგ როგორც იქნა დატვირთეს, მაგრამ დროულად მაინც ვერ გავიდა რეისში. იგივე შეიძლება ითქვას „ალექსანდრე კორნეიჩუკზეც“, რომელმაც თავისივე ხელმძღვანელობის მიზეზით დააგვიანა რეისში გასვლა.

მსგავსი ფაქტები კი იმას ადასტურებს, რომ მცურავ შემადგენლობაში გასაუმჯობესებელია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის ეფექტიანობა აქ ჯერჯერობით უმეტესად ლექცია-მოხსენებების რაოდენობით უფრო განისაზღვრება, ვიდრე მათი საბოლოო დადებითი შედეგებით. ამის გამოც არის, რომ სანაოსნოში კვლავაც ხშირია დარღვევების შემთხვევები. ცალკეული გემების კომუნისტები კი ამას თუ არ ურიგდებიან, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ გულგრილად უყურებენ, ხოლო ზოგან თვითონაც მონაწილეობენ დანაშაულში. ასე მოხდა კერძოდ, ტანკერ „ზაქარია ფალიაშვილზე“, რისთვისაც ზოგიერთი მათგანი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა...

რახან ყურადღება ძირითადად ნაკლოვანებებზე გავამახვილეთ, ისე ნურავინ გაიგებს, თითქოს საანგარიშო პერიოდში სანაოსნოში დადებითი არაფერი გაკეთებულიყოს და აქაურებს თავმოსაწონი არაფერი ჰქონდეთ. პირიქით, აქ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და სწორედ ამის შედეგია სანაოსნოს მშრომელთა ზემოაღნიშნული თვალსაჩინო წარმატებანი, რომელთა მოპოვებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით პარტიულ კომიტეტს. კომუნისტებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ აქცენტი მნიშვნელოვანწილად მაინც ხარვეზებზე გადავიტანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ოპერატიული გამოსწორება უთუოდ წაადგება საქმეს, უფრო ამრავლებს მიღწევებს. და კიდევ იმიტომ, რომ, თუმცა საანგარიშო მოხსენებაში სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს აღნიშნული ნაკლოვანებებისათვის ზოგიერთი პასუხისმგებელი სამსახურის ხელმძღვანელები, [illegible] დაასახელეს ისინი, ამის მიუხედავად [illegible] ლა იმაზე, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელა პარტიულმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში თითოეული მათგანის მიმართ და რა ნაყოფი გამოიღო ამან.

ამ მხრივ პარტიული კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის საფუძვლიან გაანალიზებას თავი აარიდეს კამათის მონაწილეებმაც და, როგორც ვთქვით, ძირითადად მხოლოდ თავიანთი კოლექტივების საქმიანობის ავ-კარგზე საუბრით შემოიფარგლნენ. ხოლო კონფერენცია, როგორც ცნობილია, პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომა არ არის, რომ იქ მხოლოდ საკუთარი გარჯის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე ჩაეხარო ანგარიში. იგი ნებისმიერი პარტორგანიზაციის წევრთა გამორჩეული წარმომადგენლების ისეთი მნიშვნელოვანი ფორუმია, რომელზეც საფუძვლიანად, პრინციპულად, ყოველმხრივ უნდა გაანალიზდეს პარტკომის მიერ გაწეული მუშაობა, პირუთვნელად გამოვლინდეს წინსვლის დამაბრკოლებელი ნაკლოვანებები და ერთობლივად დაისახოს მათი უცილობელი გამოსწორების, ახალ წარმატებათა მოპოვების გზები და საშუალებები. ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად სწორედ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ახალ საანგარიშო პერიოდში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიულმა კომიტეტმა, აქაურმა კომუნისტებმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ტ. გუჟენკო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. მახარაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი.

რ. რუსია,
მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

რამდენიმე მოსაზრება და წინადადება

როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, პარტიის მესამე პროგრამა ახლანდელი რედაქციით სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამაა და მილიონობით საბჭოთა ადამიანის — კომუნისტებისა და უპარტიოების — მონაწილეობა საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო განხილვაში შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ დავახვეწოთ პარტიის სამოქმედო კურსი.

სწორედ ამ მილიონებს გვინდა შევუერთდეთ ჩვენც და გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება პროგრამის პროექტის გამო.

ჩვენი აზრით, პარტიის პროგრამის პირველი ნაწილის პირველი თავის ოცდამეორე აბზაცი უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასე ჩამოგვეყალიბებინა:

პარტია მისთვის ჩვეულ ბოლშევიკურ პრინციპულობასა და თვითკრიტიკულობას იჩენს, მასების მხარდაჭერას ეყრდნობა და მთელი თანმიმდევრობით იბრძვის თანამდებობის არასწორი გამოყენების, პიროვნების კულტის, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების, საბჭოთა კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის, შინაპარტიული და სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

პროგრამის პროექტის მეორე თავის პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „ სოციალიზმი, რომელიც თავდაპირველად ჩვენს ქვეყანაში გახდა სინამდვილე, მსოფლიო სისტემად გადაიქცა“.

ჩვენი აზრით, ამის თქმა ასე აჯობებდა: **„სოციალიზმი თავდაპირველად საბჭოთა ხალხმა ააშენა, შემდეგ კი მსოფლიო სისტემად იქცა“.**

ამავე თავში ვკითხულობთ: **„იმპერიალიზმი არის ძირმომპალი და მომაკვდავი კაპიტალიზმი, სოციალისტური რევოლუციის წინადღე“.** აქ კარგი იქნებოდა უფრო სრულად მოგვეყვანა ლენინური დებულება: **„იმპერიალიზმი ძირმომპალი, მომაკვდავი კაპიტალიზმია, სოციალისტური რევოლუციის წინადღე, მაგრამ კაპიტალიზმის ლპობისაკენ მიმართული ტენდენცია არ გამორიცხავს ტექნიკის განვითარებას, განსაკუთრებით სამხედრო დარგში, და წონასწორობის დარღვევის ცდებს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წინაშე უპირატესობის მოსაპოვებლად, რაც არ უნდა დავუშვათ“.**

პროექტის მეორე ნაწილის პირველი თავის მერვე აბზაცში ნათქვამი — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არ ისახავს მიზნად წინასწარ დეტალურად განსაზღვროს სრული კომუნიზმის ნიშნები“ — იგულისხმება და პროგრამაში შეიძლებოდა არ შეგვეტანა; მეორე თავიდან კი ამოგვეღო და სახალხო მეურნეობის გეგმებში გადაგვეტანა წინადადება: „უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევის გზაზე მომავალ თხუთმეტწლეულში დიდმნიშვნელოვან მიჯნად არის დასახული მისი 2,3 — 2,5-ჯერ გაზრდა“.

ამავე თავის ბოლო პარაგრაფის პირველ აბზაცში იკითხება: „პარტიას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელ წანამძღვრად მიაჩნია ის, რომ ნიადაგ სრულყოფდეთ წარმოებითს ურთიერთობას, უზრუნველვყოფდეთ მის სტაბილურ შესაბამისობას დინამიკურად განვითარებადი საწარმოო ძალებისადმი, დროულად ვავლენდეთ და ვწყვეტდეთ მათ შორის წამოჭრილ არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს“.

როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, სოციალიზმის დროს ქრება ანტაგონისტური და რჩება არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი. ამდენად აღნიშნული ფორმულირებიდან ამოსაღებია სიტყვა **„არაანტაგონისტური“**, რადგან ზოგიერთმა შეიძლება ისეც გაიგოს, რომ თითქოს არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს ვწყვეტთ, ანტაგონისტურს კი, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, ვტოვებთ.

მეორე ნაწილის მესამე თავში ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა დაყენებული გადასაწყვეტად — „2000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა ოჯახს ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი ბინა ან ინდივიდუალური სახლი“. **საბინაო პრობლემის** გადაჭრის დაჩქარება აჯობებდა მხოლოდ ხუთწლიან გეგმებში გაგვეთვალისწინებინა.

აქვე, მეოთხე თავში, ხაზგასმულია **სახალხო კონტროლის** ქმედითობის გაზრდის აუცილებლობა. მაგრამ, ჩვენი აზრით, სახალხო კონტროლი უფრო გაძლიერდებოდა და ეფექტიანი გახდებოდა, თუ მას **სახელმწიფო კონტროლს** დავუქვემდებარებდით.

ცნობილია, რომ ლენინური მეგობრობა ხალხთა ძმობის, სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა ინტერნაციონალური თანამშრომლობის უნიკალური, თვისებრივად ახალი, უმაღლესი ტიპის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმისაკენ წინსვლის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ კარგი იქნება, თუ პროგრამის მეხუთე თავის მეორე აბზაცში ჩავუმატებდით სიტყვებს **„ხალხთა ლენინური მეგობრობა“** და ამ აბზაცს ასე ჩამოვაყალიბებდით:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას იდეოლოგიურ მუშაობაში უმთავრეს მიზნად მიაჩნია აღზარდოს მშრომელები მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის“... (შემდეგ როგორც ტექსტშია).

ვ.ი. ლენინი მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე აღზრდის სისტემაში დიდ როლს ანიჭებდა კონტრპროპაგანდას. თანამედროვე, უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში მსოფლიო სოციალიზმის წარმატებებით დამფრთხალი, გაცოფებული იმპერიალისტები, ყველა ჯურის ანტიკომუნისტები ათასნაირ ცილისწამებას ეწევიან და ყოველგვარ სიცრუეს ქადაგებენ საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მისამართით, „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ ამზადებენ კომუნიზმის წინააღმდეგ. ამიტომ პროგრამის მესამე ნაწილის პირველი თავის — „სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა“ — მეცამეტე აბზაცი უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასე ჩამოგვეყალიბებინა:

„პარტია კვლავაც შეუწყობს ხელს ძმურ ხალხებს საერთო ისტორიული ბედის შეგნების განმტკიცებას. სოციალიზმის შესახებ სიმართლის გავრცელება, **კომუნისტური კონტრპროპაგანდის გაძლიერება,** იმპერიალისტური პოლიტიკისა და პროპაგანდის მხილება, ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის უკუგდება, დოგმატიზმისა და რევიზიონისტული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა — მთელი ეს ამოცანები უფრო წარმატებით წყდება, როცა კომუნისტები ერთიანი ფრონტით მოქმედებენ“.

გ. ბრეგაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

წიგნი—ხუთწლედის მხარდამხარ

სულ ცოტაც და, მიიწურება მეთერთმეტე ხუთწლედი, მუშაობას შეუდგება პარტიის მორიგი, XXVII ყრილობა, რომელიც ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს დასახავს.

პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში როგორ ავამაღლოთ წიგნის პროპაგანდის ხარისხი და ეფექტიანობა, როგორ გადავაქციოთ მისი უდიდესი იდეური სიმდიდრე თითოეული ადამიანის კუთვნილებად, როგორ ჩავაყენოთ წიგნი უფრო ქმედითად წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, მომჭირნეობისა და ეკონომიის, ადამიანისმიერი ფაქტორის გააქტიურების სამსახურში? — აი ამ საკითხებს მიეძღვნა ახლახან გამართული რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აქტივის თათბირი. მოხსენება გააკეთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ.

წიგნის პროპაგანდის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე, ადგილებზე გაწეული მუშაობის შესახებ ილაპარაკეს სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა. თათბირმა შეიმუშავა სათანადო რეკომენდაციები.

ო. ხუციშვილი.



ვინ უნდა უხელმძღვანელოს მეთევზეობის მეურნეობებს?

ახლა ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვის დროს ყველგან ძლიერდება ზრუნვა და შემოქმედებითი ძიება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მისი შედეგების და მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის. მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მეთევზეობის განვითარებისათვის ჯეროვანი ადგილი უნდა პოვოს კვლევა-ძიების შედეგების დანერგვამ და ამის კვალობაზე ეკონომიკის ინტენსიფიკაციამ.

მოსახლეობის ცოცხალი თევზით უზრუნველყოფის მიზნით თანამედროვე მოთხოვნილების საფუძველზე დავამუშავეთ რესპუბლიკის შიდა წყალსატევების მდიდარი რეზერვების გამოყენების კონკრეტული საკითხები.

გამოკვლევებმა და მრავალი წლის დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მთლიანად რესპუბლიკის ტბებში, ტბორებში, წყალსაცავებში, მდინარეებში, დამშრობ და სარწყავ საირიგაციო მაგისტრალურ არხებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის და დაჩქარების საფუძველზე შეგვიძლია ყოველწლიურად მივიღოთ 25.000 ტონა ცოცხალი თევზი, ნაცვლად 1.500 ტონისა, და დავზოგოთ დაახლოებით 200 მილიონი მანეთი. ეს გაზვიადებული რომ არავის მოეჩვენოს, გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება.

მთლიანად კოლხეთის დაბლობზე განლაგებულ სამელიორაციო დამშრობ არხებში თევზის მოშენების გზით, ბუნებრივ პირობებში, შეგვიძლია ყოველწლიურად 2-3 ათასი ტონა ცოცხალი თევზი მივიღოთ და დავზოგოთ 12 ათასი ტონა კომბინირებული საკვები.

დამშრობ არხებში თევზის მოშენებით იზოგება ტბორების მშენებლობაზე გასაწევი ხარჯებიც. ეს კი არცთუ ისე მცირე თანხაა.

ამრიგად, კოლხეთის რეგიონში განლაგებული მუდმივი დინების სამელიორაციო-დამშრობი არხების ათვისება, თევზის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, ჩვენს რესპუბლიკაში გაუტეხავ ყამირად მიგვაჩნია. არანაკლებ ეკონომიური და ეფექტიანია რესპუბლიკაში დღემდე გამოუყენებელი მუდმივი დინების სარწყავ-საირიგაციო მაგისტრალები, სადაც მდინარეების წყლის თითქმის 60-80 პროცენტი თვითდინებით მიედინება არხებში. ამ დინებას მიჰყვება მდინარეებიდან და წყალსაცავებიდან ურიცხვი თევზის ლიფსიტა. სპეციალური აღრიცხვით და მონაცემებით მარტო სამგორის სარწყავი სისტემის მიერ თევზის დანაკარგებით მიყენებული ზარალი ყოველწლიურად 500 ათას მანეთს აღწევს. ტაშისკარის სარწყავი სისტემის წყალმიმღებში გაზაფხულობით 400-500 ათასამდე თევზის ლიფსიტა იღუპება.

სარწყავი მაგისტრალების სიგრძე დაახლოებით 15 ათას კილომეტრს აღემატება, ხოლო ფართობი — 6.000 ჰექტარს. აქედან, ჩვენი ვარაუდით, შეგვიძლია ბუნებრივ პირობებში მივიღოთ 700 ტონა სასაქონლო თევზი.

თევზის რეალიზაციით და ტბორების მშენებლობის ეკონომიით დავზოგავთ 7 მილიონ 400 ათას მანეთს და ბუნებრივ პირობებში თევზის გამოკვებით — 3,280 ტონა კომბინირებულ საკვებს.

მუდმივი დინების და საშრობი და სარწყავ-საირიგაციო სისტემის მაგისტრალურ არხებში ინტენსიფიკაციისა და ინდუსტრიულ მეთოდზე გადასვლით, პალაურებში და ოხებში შეგვიძლია მივიღოთ ათჯერ მეტი თევზის პროდუქცია და ოცჯერ მეტ ეკონომიას გავწევთ. ამ მეთოდების გამოყენება პირველი იქნება ჩვენს რესპუბლიკაში. ამით ნაწილობრივი უკუგება იქნება იმ 750 მილიონი მანეთი თანხისა, რომელიც საქართველოს სსრ სამელიორაციო და შიგასამეურნეო ქსელების საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს.

პერსპექტიულია აგრეთვე თბილისის თბოელექტროსადგურის მიერ ნახმარი თბილი წყლის გამოყენება თევზის გამოსაზრდელად როგორც არხში, ისე მის აუზებში. არხში წლის განმავლობაში გამოუყენებელი რჩება და უქმად იკარგება 32 მილიონი მანეთის საწვავით გამომუშავებული სითბო.

ზემოაღნიშნული მაგისტრალები უკვე აშენებულია და საჭიროა მხოლოდ რამდენიმე მარტივი ტიპის არხის სატიხრის დამონტაჟება, რაც დიდ ხარჯთან არ არის დაკავშირებული და ჩვენს მიერ უკვე დამუშავებულია. ყველა ეს ღონისძიება რომ განხორციელდეს, თევზის მიღებისათვის აუცილებელია სტანდარტული სანაშენო მასალის უხვი რაოდენობით ყოლა; ამ მიზნით დასავლეთ საქართველოში ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის სანაშენო თევზის მეურნეობის ბაზაზე, გეჯეთი პირველის და გეჯეთი მეორის მეთევზეობის მეურნეობის სასუქებელი ტბორების მთლიანი გამოყენებით უნდა შეიქმნას ერთი მთლიანი სანაშენო თევზის კომპლექსი.

ანალოგიურად სრულ სანაშენო კომპლექსად უნდა გადაკეთდეს ლანჩხუთის რაიონის ჯაპანის მეთევზეობის მეურნეობა. აღმოსავლეთ საქართველოში კი თელავის რაიონის კონდოლის თევზის სანაშენო მეურნეობა, ამ მეურნეობებში არის ტბორები, მწარმოებელთა გუნდი, თევზის გამოსაყვანი, საინკუბაციო საამქროები, თერმორეგულიატორები და სხვა საჭირო ინვენტარ-მოწყობილობები. ეს მეურნეობანი თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე მცირე რეკონსტრუქციას და გაფართოებას საჭიროებს, რომ მიიღონ სტანდარტული თევზის სანაშენო მასალა.

მტკიცე, საკუთარი საკვები ბაზის შექმნის მიზნით გვაქვს თევზის სპეციალური კომბინირებული საკვები აბების სახით. კომბინირებული საკვები, რომელიც დამზადებულია გამოუყენებელი ნარჩენებისაგან, გათვალისწინებულია მხოლოდ თევზის გამოსაკვებად. ამ გზით, ერთი მხრივ, ყოველწლიურად დავზოგავთ 15.000 ტონამდე კომბინირებულ საკვებს, ხოლო მეორე მხრივ, ეს საკვები მოხმარდება მხოლოდ თევზს და თავიდან ავიცილებთ მის დატაცებას.

დამუშავებულია პროექტი და შერჩეულია ადგილი გარდაბნის რაიონში თბილი წყლის ხარჯზე ცოცხალი თევზის ბაზისა, რომელიც წლის ყოველ დროს ცოცხალი თევზით მოამარაგებს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას.

ჩვენი რესპუბლიკის მეთევზეობის მეურნეობებში სამუშაოთა 80-90 პროცენტი ხელით სრულდება. მეცნიერული და პრაქტიკული დაკვირვებების საფუძველზე ვეცადეთ შეგვექმნა და დაგვემუშავებინა რამდენიმე წინადადება, რომლებიც შეეხება თევზის მეურნეობებში კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; ამით თევზის კვების, მოვლა-პატრონობის და დაჭერის სამუშაოებში ხელის შრომა შეიცვლება და გაიოლდება. ამ შემთხვევაში, ჩვენი გაანგარიშებით, შემცირდება თევზის თვითღირებულებაც.

დარგის განვითარებისათვის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა და დაჩქარების საფუძველზე აუცილებელია შეიცვალოს მართვის მოძველებული ფორმები. რესპუბლიკაში არსებული მეთევზეობის მეურნეობანი — ტბორები, ტბები, წყალსაცავები, დაქუცმაცებული უბნები, საამქროები უნდა გამსხვილდეს და მეურნეობის სახე მიიღოს. ისინი უნდა დაექვემდებაროს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებს; ამასთან ამ მეურნეობათა კოორდინაცია უნდა მოხდეს ერთ სისტემაში. მართვის ცენტრი ერთი უნდა იყოს რესპუბლიკაში და ახორციელებდეს მთელი შიდა წყალსატევების მართვის ორგანიზაციას. ასეთი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტთან, მას უნდა ეწოდოს შიდა წყალსატევების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქთევზმეურნეობა“. ეს გამართლებული იქნება თანამედროვე მოთხოვნილების საფუძველზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას დააჩქარებს.

რესპუბლიკაში ამჟამად არსებული სახელმძღვანელო სამეურნეო ფორმა მოძველებულია, დრომოჭმულია, დარგის მუხრუჭია. ამიტომ არის, რომ ამ საქმეში დღეს ჩვენ ყველაზე ჩამორჩენილთა შორის ვართ მთელ კავშირში.

თავისი სპეციფიკით სატბორე მეთევზეობა სოფლის მეურნეობას, კერძოდ — მეცხოველეობას მიეკუთვნება.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ გარდა სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალისა, არც ერთი მეთევზეობის მეურნეობა ამჟამად არ ექვემდებარება ადგილობრივ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. ისინი იზოლირებული არიან რაიონში არსებული ყველა ხელმძღვანელი რგოლისგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან. ადგილზე არც პარტიული, არც სამეურნეო თუ მატერიალური, არც ტექნიკური და საგეგმო, არც სტატისტიკური აღრიცხვით მეთევზეობის მეურნეობების ობიექტებს ყურადღება არ ექცევა. ერთი და იგივე რაიონში არის სხვადასხვა დაქვემდებარების მეთევზეობის მეურნეობები. ადგილობრივმა რაიონულმა ხელმძღვანელობამ არ იცის თუ ვინ და რომელი ორგანიზაცია მართავს ძირითადად შიდა წყალსატევებში თევზის მოშენებას, მომრავლებას, გამოზრდას და სხვა სამეურნეო საქმიანობას.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: გარდაბნის რაიონში მდებარეობს კუმისის, ჯანდარის და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეთევზეობის მეურნეობები, რომლებიც ეკუთვნის „საქსოფლთევზმრეწვს“ და „საქთევზმეურნეობას“, ხოლო ჯანდარის მეურნეობაში მართვისა და ხელმძღვანელობის მხრივ ქაოსია.

ამიტომ არის საჭირო, რომ ეს დაქუცმაცებული მეურნეობები განთავისუფლდეს ზედმეტი მეურვეობისაგან. ამიტომ ვამბობთ, რომ სამეურნეო ანგარიშზე შეიქმნას რაიონებში ერთი მთლიანი მსხვილი მეთევზეობის მეურნეობა, რომელიც დაექვემდებარება ადგილობრივ აგროსამრეწველო გაერთიანებებს, რაც შეამცირებდა ხელფასის ფონდს, საშტატო ერთეულს და სამივლინებო ხარჯებს.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ინსტიტუტში დამუშავებული მეთოდებით და რეკომენდაციებით, არსებული მოქმედი ობიექტების მაქსიმალური ათვისებით და დღემდე გამოუყენებელ ობიექტებზე დაყრდნობით, ინტენსიფიკაციის და ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის საფუძველზე სულ რესპუბლიკაში შეგვიძლია მივიღოთ დიდძალი თევზი.

ზემოთ აღნიშნული ყველა საკითხის დროული გადაწყვეტა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის დაჩქარების საფუძველზე ესოდენ გლობალური მასშტაბით, ძირეული გარდატეხა იქნება ამ დარგის განვითარებაში.

ბ. უთმელიძე,
ზოოვეტერინარიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

რისთვის დაისაჯა მინისტრი?

როგორც უკვე იუწყებოდა რესპუბლიკის პრესა, ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემასა და აპარატში მექრთამეობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა უხეში დარღვევათა ფაქტები და ამ საკითხზე გამოიტანა დადგენილება, მკაცრად დასაჯა პარტიული და ადმინისტრაციული წესით მთელი რიგი ხელმძღვანელები, მათ შორის რესპუბლიკის ახლა უკვე ყოფილი ვაჭრობის მინისტრი მ. მ. ქაჯაია.

იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ დღეებში ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იღებენ მშრომელთა კითხვებს, საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარეს შ. ვ. ყარყარაშვილს უფრო დაწვრილებით განემარტა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამ საკითხზე, — თქვა საუბარში ამხ. შ. ვ. ყარყარაშვილმა, — მიღებულია ყველა იმ გარემოებისა და ფაქტორის დეტალური პარტიული გარჩევისა და შესწავლის შედეგების საფუძველზე, რომლებმაც ხელი შეუ- [illegible]

სოციალისტური საკუთრების დატაცებას. შინაგან საქმეთა ორგანოები და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები ყოველწლიურად დიდი ოდენობით ავლენენ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და დატაცებას. 1984 წელს 1982 წელთან შედარებით ასეთ დანაშაულთა რიცხვი გაიზარ- [illegible]

დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების საკითხებში უპასუხისმგებლობის, უპრინციპობის, წაყრუების პირდაპირი შედეგი იყო.

დაუსჯელობის ატმოსფერო, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს ურთიერთთავდებობას — აი, ალბათ, ის მთავარი ფაქტო- [illegible]

ხებაც უკვე კარგა ხანია შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, როგორც მხვილი საქმოსნისა და მაქინატორის შესახებ, გრძნობდა რა მხარდაჭერასა და ირწმუნა თავისი დაუსჯელობა, მთლიანად დარჩა კონტროლის გარეშე, სამინისტროში პრაქტიკულად შეუზღუდველი გავლენით სარ- [illegible]

[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. **1985 წლის 7 დეკემბერი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ოთარ ვალერიანის ძე **მელქაძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. **1985 წლის 7 დეკემბერი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 18 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. **1985 წლის 7 დეკემბერი.**

„პარტიული სიტყვა" № 22 და 23

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" გაერთიანებული ოცდამეორე და ოცდამესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის (ახალი რედაქცია) პროექტი.

ანშლაგით „განვიხილავთ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს" გამოქვეყნებულია: გ. გამსახურდიას — თეორიული და პოლიტიკური მემკვიდრეობითობის დიადი განსახიერება; სტრიქონები წერილებიდან.

განყოფილებაში „ამ ტრიალ ქვეყანაზე" თქვენ გაეცნობით ვ. ს. მარინოვის წერილს — პარიზიდან ქენევამდე.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

10 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

◆ პოლონეთი

ერთობლივი კომუნიკე

ვარშავა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრა შესაძლებლობას გვაძლევს შევაკავოთ გამალებული შეიარაღება, გვისახავს იმედს, რომ დაიწყება რეალური პროგრესი შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში. ეს ხაზგასმით აღინიშნა ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა და მიეძღვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვ. ბრანდტის ვიზიტის შედეგებს. ვიზიტის დროს გაიმართა ვ. ბრანდტისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელების მოლაპარაკება.

დოკუმენტში აღინიშნა, რომ ისტორიული მნიშვნელობა აქვს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წლის 7 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებას ურთიერთობის ნორმალიზაციის საფუძვლების შესახებ, რომელშიც ორივე სახელმწიფომ დაადასტურა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებული საზღვრების შეუვალობა, ორმხრივი ვალდებულება — პატივი სცენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებისათვის კონკრეტული შინაარსის მინიჭება შეესაბამება ორი სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს, ემსახურება ევროპის მშვიდობის საქმეს, საჭიროდ ცნეს საკადრისი პასუხი გაეცეს ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის დარღვევის ყოველგვარ ცდას. მათ მხარი დაუჭირეს პოლიტიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ახლო აღმოსავლეთი

მეკობრული რეიდები

ბეირუთი. სამხრეთ ლიბანიდან სულ უფრო საგანგაშო ცნობები მოდის. ისრაელის თავდაცვის მინისტრის რაბინის აგრესიული განცხადებების შემდეგ გახშირდა აგრესორთა თავხედური პროვოკაციები სუვერენული ლიბანის წინააღმდეგ.

დღე არ გავა ისე, რომ ოკუპანტებმა არ მოაწყონ მორიგი ხოცვა-ჟლეტა ლიბანის მშვიდობიან სოფლებში. ყველა ოკუპირებულ რაიონში მიმდინარეობს მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება. ასობით უდანაშაულო ლიბანელი ზის ისრაელთა საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ისრაელის მხედრიონი სულ უფრო ხშირად აწყობს მეკობრულ რეიდებს ლიბანის ტერიტორიის სიღრმეში. ლიბანის საჰაერო სივრცეში მუდამ არიან ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები.

ამავე დროს საიდის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში თავიანთ შეიარაღებულ ქვეგანაყოფებს თავს უყრის ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის არმია", რომელიც მთლიანად ისრაელის კმაყოფაზეა.

ლიბანელმა პატრიოტებმა შეუტიეს ისრაელ ინტერვენტთა და მათ ადგილობრივ ვამქაშთა პოზიციებს ნაბათიის რაიონში და სოფლების იატერისა და კაფრის მახლობლად. ლიბანის ოკუპირებული ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში პარტიზანებმა გრანატსატყორცნების ცეცხლი დაუშინეს ისრაელ დაქირავებულთა ყაზარმას დაბა ვადი-აბუ-ქამჰაში. ამ ოპერაციების შედეგად ოკუპანტებმა და მათმა დამქაშებმა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი განიცადეს. ლიბანის დედაქალაქში მშვიდი ვითარებაა.

● გვატემალა

„კენჭისყრის" მეორე ტური

ჰავანა. გვატემალიდან მოსული ცნობების თანახმად, ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში გამართულ ეგრეთ წოდებულ „საყოველთაო არჩევნებში" გამარჯვება მოიპოვა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა კანდიდატმა ვინისიო სერესომ.

როგორც ქვეყნის უზენაესმა საარჩევნო ტრიბუნალმა გამოაცხადა, ვინისიო სერესომ ხმების უმრავლესობა მოიპოვა კვირას გამართულ ეგრეთ წოდებული „კენჭისყრის" მეორე ტურში. ვინაიდან პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.

რეალური სოციალიზმი:

დემოკრატია, საერთაშორისო თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური სახელმწიფოები ამაყობენ ადამიანის უფლება-თავისუფლებათა პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში შეტანილი წვლილით, გავლენით, რომელსაც რეალური სოციალიზმი ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბებაზე. ისინი თანამიმდევრულად იღვწიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად ამ დარგში ეფექტიანი ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის.

9 დეკემბერს მოსკოვში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე „რეალური სოციალიზმი: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო თანამშრომლობა".

პრესკონფერენციაზე გამოვიდა საბჭოთა იურისტების ასოციაციის პრეზიდენტი ა. ი. სუხარევი. ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, ტრადიციად დამკვიდრდა ყოველწლიურად 10 დეკემბერს ფართოდ აღინიშნოს ადამიანის უფლებათა დღე. ამ ტრადიციის სათავეები მარტოოდენ ფაშიზმის განადგურების შემდეგ მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საყოველთაო დეკლარაციის პატივისცემას როდი გამოხატავს, ისინი განსახიერებს თვით ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ბუნებას, სოციალიზმის ისტორიულ მისიას. სსრ კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები თანამიმდევრულად იღვწიან ადამიანის უფლებათა დარგში ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

● იაპონია

იძულებითი უარი

ტოკიო. წააწყდა რა მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობას, იაპონიის სამხედრო უწყება იძულებული გახდა უარი ეთქვა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისათვის ორი ახალი დამატებითი სამხედრო ობიექტის მშენებლობაზე.

ამ ობიექტების — ქალაქ ძუსის ტერიტორიაზე ამერიკული ყაზარმების და მიაკეს კუნძულზე შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო აეროდრომის — მშენებლობა პენტაგონის მოთხოვნით უნდა დაწყებულიყო მომავალ საფინანსო წელს. მაგრამ ძუსისა და მიაკეს მცხოვრებთა შორის მოწყობილი რეფერენდუმის შედეგად, უმრავლესობამ უარყო ეს სახიფათო გეგმები. ვინაიდან მოსახლეობას მხარი დაუჭირეს ხელისუფლების მუნიციპალურმა ორგანოებმაც, ეროვნული თავდაცვის სამმართველო იძულებული გახდა ხელი აეღო მათ განხორციელებაზე.

● აშშ

წარუმატებელი გამოცდა

ვაშინგტონი. მარცხით დამთავრდა ფრთოსანი რაკეტის „ტომაგავკის" პირველი გამოცდა ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი სანაპიროს ზონაში.

პენტაგონის წარმომადგენლის ცნობით, რაკეტა გაუშვეს წყალქვეშა ნავიდან მექსიკის ყურეში, მაგრამ მართვის სისტემაში უწესივრობის გამო სამეთვალყურეო თვითმფრინავიდან მისცეს კომანდა შეეწყვიტათ ფრენა და აემოქმედებინათ საპარაშუტო სისტემა. რაკეტა ჩამოვარდა ფლორიდის შტატის ქალაქ ფრიპორტის მახლობლად და შემდეგ მიიტანეს სამხედრო-საჰაერო ძალების ეგლინის ბაზაში.

განხორციელებული გამოცდა ერთ-ერთი ელემენტია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხელახალი შეიარაღების პროგრამისა, რომლის ფარგლებში დასახულია შეისყიდონ 4 ათასამდე ფრთოსანი რაკეტა „ტომაგავკი", რათა აღჭურვონ ამით 190 წყალზედა ხომალდი და წყალქვეშა ნავი.

ამერიკა ამერიკელთა თვალით

ფ. ჩეპმენი: „აღმაშფოთებელი უუფლებობის ქვეყანა"

ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ამხილებს

ნიუ-იორკი. „აღმაშფოთებელი უუფლებობის ქვეყანა" უწოდა შეერთებულ შტატებს რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ფრენკ ჩეპმენმა.

თეთრი სახლის მიერ გაჩაღებული ფარისევლური კამპანია „ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ადამიანის უფლებათა დასაცავად", — განაცხადა მან საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, — მილიონობით ამერიკელის მდგომარეობის აშკარა დაცინვაა, რომლებიც მოკლებულნი არიან შრომის, განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლებას, პოლიტიკური მრწამსისათვის დევნას განიცდიან.

ვაშინგტონის ადმინისტრაციას, ხაზგასმით აღნიშნა ფ. ჩეპმენმა, მორალური უფლება არა აქვს იჩემებდეს „დემოკრატიისა და თავისუფლებათა" დამცველის როლს თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ჯერაც არ დაუმტკიცებია მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა სფეროში.

თუმცა, თქვა საზოგადო მოღვაწემ, სულაც არ მიკვირს ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტები დღემდე არ მოუწონებია შეერთებულ შტატებს. თავისი ხასიათის გამო ამერიკის საზოგადოებას უბრალოდ არ შესწევს უნარი უზრუნველყოს ადამიანის ფუძემდებელი უფლებანი. მაგალითად, ამჟამად სამუშაო არა აქვს 8 მილიონამდე ამერიკელს. კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მდიდარ ქვეყანაში დაახლოებით 3,5 მილიონ მცხოვრებს საკუთარი ჭერი არა აქვს, 34 მილიონი ამერიკელი ეგრეთ წოდებული „სიღარიბის ზღვარის" დონეზე უარესად ცხოვრობს. შეერთებულ შტატებში მძვინვარებს რასიზმი, რომლის მსხვერპლნი ხდებიან, უწინარესად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს პროტესტი გამოთქვას უკიდურესი უუფლებობის გამო, აღნიშნა ფ. ჩეპმენმა, ამერიკის ხელისუფალნი მკაცრ რეპრესიებს მიმართავენ. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, მაგალითად, თვალსაჩინო ინდიელი ბელადის ლეონარდ პელტიერისა და შავკანიან ამერიკელთა უფლებებისათვის მებრძოლის ჯონ ჰარისის სახელები, რომლებიც შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს. როგორც რამდენიმე წლის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი ე. იანგი აღნიშნავდა, ამერიკის საპყრობილეებში „ათასობით პოლიტიკური პატიმარია".

რასიზმა ღრმად გაიდგა ფესვი ამერიკის მართლმსაჯულების სისტემაშიც. მხოლოდ ამით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ შეერთებულ შტატებში სიკვდილმისჯილ პირთა 48 პროცენტი ზანგია. ამავე დროს ისინი მთელი მოსახლეობის სულ რაღაც 12 პროცენტს შეადგენენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ შეერთებულ შტატებში არასოდეს დაუსჯიათ თეთრკანიანი ზანგის მოკვლისათვის.

ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტული, ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად, თქვა დასასრულ ფ. ჩეპმენმა, უბრალო ამერიკელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მისი პოლიტიკა საგრძნობლად ლახავს მშრომელთა ინტერესებს. აი, რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ საზოგადოებრიობას თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნია თეთრი სახლის ამ კურსის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფოტოფაქტი



ზანგი მუშის, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის აქტივისტის ჯონ ჰარისის (სურათზე) სიცოცხლე საფრთხეშია. ალაბამის შტატის სასამართლო ხელისუფალნი ჯიუტად ამბობენ უარს გადასინჯონ მისთვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი კამპანია გაჩაღდა ჯონ ჰარისის დასაცავად, რომელიც მიზნად ისახავს გამოტანილი განაჩენის გაუქმებას და ამ მამაცი მებრძოლის სავსებით გამართლებას.

ასეთ მიუსაფარ და უსახლკარო ამერიკელებს ხშირად ნახავთ ვაშინგტონის ქუჩებში (სურათზე ზემოთ).

◆ არგენტინა

გამოიტანეს განაჩენი

ბუენოს-აირესი. არგენტინის ფედერალურმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა იმ სამხედრო ხუნტის ცხრა წევრს, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ 1976-დან 1982 წლამდე.

მათ ბრალად ედებოდათ ის, რომ სწორედ ამ პერიოდში არგენტინაში უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, უკანონოდ აპატიმრებდნენ და აწამებდნენ ათასობით არგენტინელს, ბევრი მათგანი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

სასამართლომ გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს ხორხე რაფაელ ვიდელას და გადამდგარ ადმირალს ემილიო ედუარდო მასერას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს რობერტო ედუარდო ვიოლას — 17 წლის, გადამდგარ ადმირალს არმანდო ლამბრუშინის — 8 წლის, გადამდგრ ბრიგადის გენერალს ორლანდო რამონა აგოსტის — 4,5 წლის პატიმრობა. დანარჩენი ბრალდებულნი გაამართლეს.

◆ კოლუმბია

მოლაპარაკება შეწყდა

მანაგუა. კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რამირეს ოკამპომ განაცხადა, რომ კონტადორის ჯგუფმა, რომელიც ცდილობს მშვიდობიანად მოაწესრიგოს ცენტრალური ამერიკის კრიზისი, მიიღო გადაწყვეტილება ხუთი თვით შეწყვიტოს მოლაპარაკება რეგიონის ქვეყნების მიერ „მშვიდობის აქტის" ხელმოწერის თაობაზე.

პოლიტიკური მიმომხილველები კონტადორის ჯგუფის გადაწყვეტილებას უკავშირებენ ვაშინგტონის მიზეზით დაძაბულობის გაძლიერებას ნიკარაგუა-ამერიკის ურთიერთობაში. როგორც კოლუმბიელმა მინისტრმა თქვა, ამჟამად ნიკარაგუასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „მწვავე კონფრონტაციაა, რომელიც ზიანს აყენებს მოლაპარაკების პროცესს".

ტიციან ტაბიძის დღეები მის სამშობლოში

ვანი, 9 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.). თბილი, ალერსიანი დღე დახვდათ ვანის რაიონში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმში.

სტუმრებმა დაათვალიერეს არქეოლოგიის მუზეუმი, სურათების გალერეა, ჭადრაკის სკოლა, იყვნენ შუამთის ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლაში; ყვავილებით შეამკეს პოეტის ბიუსტი რაიონის ცენტრში.

შემდეგ დღესასწაულმა გადაინაცვლა ტიციან ტაბიძის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში, სადაც პოეტის სახლ-მუზეუმთან გაიხსნა ახალი საექსპოზიციო დარბაზი. წითელი ლენტი გადაჭრეს პოეტმა-აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირაკლი აბაშიძემ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა შოთა ნიშნიანიძემ.

ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის დღესასწაული ვანის კულტურის სახლში გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ ანდრიაძემ. დღესასწაულზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე შოთა ნიშნიანიძე, გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი გიორგი ახობაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, მოსკოველი კრიტიკოსი მარლენ კორალოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისისა და აჭარის განყოფილებათა მდივნები დავით კვიცარიძე, ფრიდონ ხალვაში, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რევაზ ინანიშვილი და სხვები. მათ ილაპარაკეს ტიციან ტაბიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, მისი შემოქმედების უკვდავებაზე. ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გივი ანდრიაძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ პაპამისის ხსოვნის პატივისცემისათვის.

ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ ჯანბერიძე.

(საქინფორმი)

ლექსი თვითონ მწერს...

მედგარ და გულწრფელ, ემოციურ და კეთილშობილ მგოსნად დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა ლიტერატურაში ქართველმა პოეტმა ტიციან ტაბიძემ, რომლის დაბადების 90 წლისთავიც ამ დღეებში ზეიმით აღინიშნება მთელ რესპუბლიკაში. საიუბილეო დღესასწაულის ერთგვარი წინათქმა იყო ლიტერატურული საღამო, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმმა მოაწყვეს.

ტიციანის პოეტური მემკვიდრეობის წარუვალი მნიშვნელობა, მისი შემოქმედებითი გზა გააცნო შეკრებილთ მწერალმა რ. მიშველაძემ.

საღამოს განუმეორებელი ლაზათი შემატა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის გამოსვლამ, რომელმაც ილაპარაკა ქართველი ლირიკოსის, მისი ოჯახის დიდ მეგობრობაზე ვ. მაიაკოვსკისთან, ს. ესენინთან, ა. ბელისთან, ბ. პასტერნაკთან და სხვა რუს მწერლებთან. პოეტმა გ. ჯუღუხიძემ წაიკითხა ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ც. დადიანმა შეასრულა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები პოეტის სიტყვებზე.

საღამოზე ტიციან ტაბიძის ლექსებს კითხულობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები მედეა ჯაფარიძე და თამარ თეთრაძე.

სურათებზე: საიუბილეო ზეიმი ტ. ტაბიძის სამშობლოში — ვანში, პოეტის სახლ-მუზეუმში; ტ. ტაბიძის ბინა-მუზეუმის ერთ-ერთი ოთახი თბილისში გრიბოედოვის ქუჩაზე.

გ. ბერსამიასა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყოველი

სპორტული ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. მოსკოვში დამთავრდა ფიგურისტების შეჯიბრება გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე, რომელშიც 16 ქვეყნის სპორტსმენები (ავსტრალია, ავსტრია, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, იტალია, კანადა, პოლონეთი, რუმინეთი, აშშ, ფინეთი, საფრანგეთი, გფრ, იუგოსლავია და სსრ კავშირი) ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ამ ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს: **წყვილთა ციგურაობაში** — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორებმა ლარისა სელეზნიოვამ და ოლეგ მაკაროვმა, **სპორტულ ცეკვებში** — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ნატალია ბესტემიანოვამ და ანდრეი ბუკინმა, **ვაჟთა შორის** პირველი ადგილი მოიპოვა ალექსანდრე ფადეევმა (ყველა სსრ კავშირი). **ქალთა შორის** გამარჯვებული გამოვიდა კარენ კადეივი (აშშ).

ცურვა. ზაპოროჟიეში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც თერთმეტი სპორტსა-

ბრძოლას ვუთანაბრებთ

ლოთობასთან ბრძოლა ადამიანისათვის ბრძოლაა. ასე ფიქრობს სიფხიზლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ბულგარელი გენერალი ქრისტო ორლოვსკი

მდივანმა ქალმა მაგიდაზე ქარვისფერი ყურძნით სავსე ლარნაკი დადგა, ჭიქებში ფორთოხლის წვენი ჩამოასხა, და ჩვენ საუბარი დავიწყეთ.

— ამხანაგო გენერალო! ვიცი, რომ იყავით პარტიზანული რაზმის მეთაური, ბრძოლებში ლეგენდარული მამაცობით გამოირჩეოდით. ბულგარელი ბიჭუნები ალტაცებით წარმოთქვამენ თქვენს სახელს. ცდილობენ მოგბაძონ. მით უფრო მოულოდნელი იყო თქვენთან ამ კაბინეტში შეხვედრა, რომლის კარზე გაკრულია ფირფიტა „სიფხიზლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე“.

— მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემნაირი ბიოგრაფიის კაცს არ შეჰფერის ეწეოდეს სიფხიზლისათვის აგიტაციას. ხომ იყო პარტიზანული კოცონები, სადაც შემოვატარებდით ხოლმე მათარას,

... ვმჯდომარედ დამაწინაურეს. საქმე ასე იყო. 1943 წელს მთაში ალყა შემოვარტყით ვილას, სადაც კაპიტალისტები და მათი ფაშისტი დამქაშები შეკრებილიყვნენ. ბრძოლით შევიჭერით შენობაში და წავადექით საბანკეტოდ გაშლილ სუფრას. მებრძოლებმა მთხოვეს: „ამხანაგო მეთაურო, ნება მოგვეცით გავსინჯოთ, ბურჟუები რასა სვამენო“. მეც ცნობის წადილი მომეძალა: სულ ცოტაოდენი დავლიე. მგონი ფრანგული კონიაკი იყო.

— როგორი გემო ჰქონდა?

— საძაგელი.

— გამოდის, რომ თქვენ განეკუთვნებით პესიმისტებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კონიაკს ბაღლინჯოს სუნი ასდის.

— პესიმისტები სწორედ ისინი არიან, ვინც კონიაკის წრუპვით სიამოვნებას იღებს. მათ ...

შექმნილია კეთილშობილებისა და ზნეობრივი სიწმინდის ატმოსფერო.

— სწორად შეგინიშნავთ: ჩვენი მოძრაობის მონაწილენი სხვებზე უწინარეს ყოვლისა ზემოქმედებენ პირადი მაგალითით. თავშეკავებულს, ჩვეულებრივ, ოჯახში ყველაფერი რიგზე აქვს. იგი ბუნებით ოპტიმისტია, ცხოვრებაში აქტიური, შრომაში — სამაგალითო. ქვეყნის საწარმოებში ახლა ფხიზელთა ოთხი ათასზე მეტი ბრიგადა. თანაც ასეთი ბრიგადები სპეციალურად არავის არ შეუქმნია. უბრალოდ ჩვენი მოძრაობის რამდენიმე მონაწილე გაერთიანდა, რათა ერთიანი განწესით იმუშავათ. ჩვეულებრივ, მათ საქმე ჩინებულად მიუდით: გამომუშავება დიდი აქვთ, ხარისხი — საუკეთესო, ანაზღაურებაც, რა თქმა უნდა, შესაბამისია. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ ეს ფხიზელთა ...

ლიტიკოსთა კეთილი ტრადიციაა, რომლებსაც თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნიათ ხმა აიმაღლონ ლოთობის წინააღმდეგ. ვიცი, რომ ჟურნალისტებს ძალიან ემაყებათ ყოველწლიური პრემიები, რომლებსაც თქვენი კომიტეტი ანიჭებს.

— სხვათა შორის, ტრადიციების შესახებ. არც ბულგარელებს, არც რუსებს ეგრეთ წოდებული ლოთობის ტრადიციები არასოდეს არა ჰქონიათ. რუსეთში ჯერ კიდევ XVII საუკუნის დამლევს დაწესებული იყო სპეციალური „ორდენი ლოთობისათვის“ — მძიმე თუჯის ფილა, რკინის საყელურით. ნაკლებად მკაცრად როდი ექცეოდნენ ლოთებს ჩვენშიც. პირველი ბულგარული ანბანის შემქმნელმა ფილოსოფოსმა კონსტანტინე-კირილემ დაწერა არაკი ლოთობის წინააღმდეგ, რომელიც ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „ლოთები არც ადამიანებს ჰგვანან ...

— ისინიც სიფხიზლის მოყვარულნი არიან?

— თავისთავად ცხადია. შემოქმედებითი ადამიანებისათვის მათ სულაც არ სჭირდებათ იარონ ჟურნალისტთა განთქმულ რესტორანში გრაფ იგნატიევის ქუჩაზე: ერთი ფინჯანი ყავაც საკმარისია. და, როგორც ხედავთ, ცუდად როდი გამოსდით. შეხედეთ, გაზეთის ფურცლებზე ბულგარეთის საუკეთესო პუბლიცისტთა და მწერალთა გვარებია.

— ეს ბულგარეთის კულტურის მოღვაწეთა, მეცნიერთა, პო- ...

... ათა ხელმძღვანელად.

— გწამთ თუ არა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა თქვენი თანამემამულე უარს იტყვის სპირტიან სასმელზე?

— დიახ, ეს მართლაც მშვენიერი დღე იქნებოდა! და ადრე თუ გვიან დადგება კიდეც.

ვ. კონდაკოვი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფია—მოსკოვი.

„სოვეტსკაია როსია“,
1985 წ. 7.XII

ჩემი ჟურნალისტური ბედიღბალი ისე წარიმართა, ხოტბასაგალობელზე მეტი გამკილავი და უკმეხი სიტყვის თქმა მერგო. ვინ რა იცის, როგორ შეგიბრუნდება ყისმათის ჯარა, თორემ ამბობენ, კომიკოსები ცხოვრებაში ერთობ სერიოზული ხალხიაო, ფელეტონისტები კი „გიქორზე“ და „ბიძია თომას ქოხზე“ ახლაც ბალღებივით მოსთქვამენ.

დაწერილი მოსმენილთან შედარებით უმწეოა. ეს „პარად ალეე“ და „მაესტრო მარშ“ უნდა მოგესმინათ, წაკითხულს რა ფასი აქვს), ამის გაგონება და ჭიანჭველათა ლაშქრის შემოსევა ერთი იყო, იწყებოდა, მაგრამ რა იწყებოდა...

ამ ცირკში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ივანე ზაიკინი, კლიმენტი ბული, სანდრო კანდე- ...

არაფერია წარსულისა და მომავლის გარეშე!

ასეა, მხოლოდ კაჟი და ფოლადი იძლევა ნაპერწკალს, მხოლოდ ამ გზით მოდიან კარტოზიები, ბალავაძეები, ლომიძეები, ბერიაშვილები, თედიაშვილები და სხვები. ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს!..

ამას წინათ ახალგაზრდების კამათს მოვკარი ყური.

... უმღერის ვინმე წარჩინებულს, უმუსიკოს და უოქროპიროს თავის კერპს.

ასეთი კერპები ბავშვობაში მოდიან და მერე სამუდამოდ რჩებიან შენს ცხოვრებაში, რადგან ბავშვობა სულ სხვა „ჯადო ქვეყანაა“, სადაც ყველა კანონი სიყვარულის ენით არის დაწერილი და თარგმანსაც კი არ მოითხოვს,

... ბოდა და გადაირეოდა მთელი ცირკი!

ეს ზაგარულიკოც საოცრად ლამაზი და ტანადი ბიჭი გახლდათ, კისერზე იცოდა ჯარასავით ტრიალი, მერე ნახევარსალტოთი ფეხზე წამოხტებოდა და... ჩვენც მეტი რა გვინდოდა.

50 წელი იქნება გასული მას შემდეგ და ახლაც ცოცხლად

შტრიხები პორტრეტისათვის

ეს მიშიკო მაჩაბელი!..

მოვა და მერე სამუდამოდ ერთად ცხოვრობთ „ნეტარ მოგონებათა პლანეტაზე“ და თუ დიდობაში ათასში ერთხელ შესძელი თავი დააღწიო ცხოვრების ყოველდღიურ ორომტრიალს, ყვე- ...

... ცნობს წამოყვირებით. მაგრამ როცა ჭერი მიშიკო მაჩაბელზე მიდგა, -თქვა, მაგრამ რა თქვა, კაცის ყურს რომ არ სმენია აქამდე, «Красота и гордость Грузии Мишико Мачабели!».

გვარიც მახსოვს — არბიტრი მესტიაშვილი იყო, ერთი რიხიანად შესძახებდა „პარად ალეე — მაესტრო მარშ!“. ორკესტრი სადღესასწაულო მარშს დასცხებდა და მოჭიდავეები არენას შემოუვლიდნენ (რა სამწუხაროა, რომ ...

... არ იწერება (წიგნებს ვგულისხმობ) ჩვენ ფალავნებზე, თორემ სათქმელი და დასაწერი მეტი რა არის. დღესაც მათი წყალობაა, რომ ისე არ წავა საქმე, ჩვენი პატარა კუთხის ბარე ერთმაორმა ბიჭმა მსოფლიო არენაზე, რუკაზე კარგა მოზრდილი ადგილი რომ უჭირავთ, ისეთი ქვეყნის შვილები ორივე ბეჭით არ დასცეს ხალიჩაზე. ეს ესებუების, მაისურაძეების, ქვარიანების, კანდელაკების და მაჩაბლების კვესის ნაპერწკალია, ამქვეყნად

... ვერ მივაღწიე, სამაგიეროდ ოცნებით ჩემი „პატარაბიჭობა“ მოვინახულე და ახლა დღევანდელი ცხოვრების ორომტრიალს ვუბრუნდები... მე არა ვარ უმასპინძლო სტუმარი, ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, ოღონდ ეს ლამაზი შეხვედრა წარსულში იყო, როცა ჩვენ ორივენი სულ სხვა თვალებით ვუყურებდით ცხოვრებას. მერე რა, თუ „დროთა კავშირი დაირღვა“. ამ ქვეყნად ლამაზი ყველაფერი მარადიულია!

რეზო დვალიშვილი.

ციტრუსების ქურდები

გასულმა სუსხიანმა ზამთარმა ზღვისპირეთში დააზიანა და ზოგან მთლიანად მოსპო ციტრუსის ბაღები. დასუსტებულ და დაკნინებულ ციტრუსის ხეებს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები თავს დასტრიალებდნენ, რომ ნაზამთრალი ჭრილობები მოეშუშებინათ და შეენარჩუნებინათ ის ყვავილები, რომლებიც გაზაფხულზე გამოიღო. ნათელი გახდა, რომ წლეულს ციტრუსების მოსავალი ორჯერ, ზოგიერთ მეურნეობებში სამჯერ ნაკლები იქნებოდა. მეციტრუსეებმა გადაწყვიტეს არ დაკარგულიყო არც ერთი ნაყოფი, რასაც მოიწევდნენ, მთლიანად სახელმწიფოსათვის მიეყიდათ.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ივალდებულეს, რომ არ დაეკარგავდნენ არც ერთ ცალ ნაყოფს და გეგმის გადამეტებით ტონობით მეტ ციტრუსს მიჰყიდდნენ სახელმწიფოს. ისიც გადაწყდა, რომ ნაყოფი პირველ რიგში საზოგადოებრივი სექტორის ციტრუსის ბაღებში მოეკრიფათ, რითაც გამოირიცხებოდა დატაცება და დაზიანება.

ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის № 13 ბრიგადის წევრი მურიკო ქაზიმის ძე ხაჯიშვილი ასე როდი ფიქრობდა. იგი 17 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე პლანტაციაში ფარულად კრეფდა და იტაცებდა დიდი რაოდენობით ციტრუსს. თავის განზრახვა ბოლომდე რომ მიეყვანა, მ. ხაჯიშვილი წინასწარ შეუთანხმდა ბიძას, სოფელ მუხაესტატეში მცხოვრებ პიჭიკო ხაჯიშვილს. მათ გადაწყვიტეს ციტრუსი ნაწილ-ნაწილ გადაეტანათ პიჭიკო ხაჯიშვილის სახლში, ხოლო შემდეგ ჩაებარებინათ შემფუთავი ქარხნისათვის. ამ საქმეში მათ ხელი გაუმართა მუხაესტატეს კოლმეურნეობის მძღოლმა თ. ლაზიშვილმა. ქურდებმა მოიპარეს 3700 კილოგრამზე მეტი ციტრუსი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ცეცხლაურის მეურნეობის უბნის რწმუნებულმა ამირან შარაშიძემ შეამჩნია, რომ მეურნეობის ფართობიდან ციტრუსის ნაყოფს იტაცებდნენ. ორგანოს მუშაკმა ქურდებს ფარულად დაუწყო თვალთვალი. როცა დარწმუნდა მ. და პ. ხაჯიშვილების ბნელ საქმიანობაში, ყველაფერი მილიციის რაიგანყოფილებას აცნობა. მიადგნენ პიჭიკო ხაჯიშვილის სახლს. სარდაფში ყუთებში ჩაეწყოთ ნაქურდალი ციტრუსი. ვისია ეს ციტრუსიო, ჰკითხეს ოჯახის უფროსს. რა თქმა უნდა, ჩემია, ვერ ხედავთ, რა დიდი ბაღი მაქვსო, უტეხად უპასუხა პიჭიკომ.

ბაღში შევიდნენ, დაათვალიერეს, მანდარინის ხეებს კარგად ესხა. არსად არ ჩანდა დანაკრეფი. ხაჯიშვილები მილიციაში მიაბრძანეს.

საქმე ამით არ დამთავრებულა. მომხდარ ფაქტს პარტიის ქობულეთის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრი შეფასება მისცა. ბიურომ ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გ. ნიჟარაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით და გაათავისუფლა თანამდებობიდან. სახელმწიფო დისციპლინისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისათვის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ა. ხოიძეს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ასევე სასტიკი საყვედური გამოუცხადეს სააღრიცხვო ბარათში შეტანით მეურნეობის მთავარ აგრონომს ა. ანანიძეს. თანამდებობიდან გაათავისუფლეს მეურნეობის მეციტრუსეობის საამქროს უფროსი ე. გოგიტიძე და საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი თ. მემარნე.

მომხდარმა ფაქტმა უნდა დააფიქროს ისინი, რომლებმაც სიფხიზლე მოადუნეს ან თვალს არიდებენ დამნაშავეებს, რა თქმა უნდა, ისინიც, რომელთაც სულმოკლეობა სძლევთ და სხვისი ნაოფლარის დატაცებაზე ოცნებობენ.

(საკ. კორ.).

ჩვენს ეკრანებზე

10.15 — საესტრადო პანორამა (განმეორება). 11.00 — სატელევიზიო დადგმა „ჩემი თაობა“. I ნაწილი. 12.20 — საბჭოთა ცხოვრების წესი — ...

... სულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.40 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „ბალადა ტყის ფრონტზე“.

„ნანტი“ — მოსკოვის „სპარტაკი“ რეპორტაჟი საფრანგეთიდან.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფალავნები“.

— ოჯახური სკოლის ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.10 — „ცისარტყელა“ (შრი ლანკა). 19.30 — ნარკვევი საავტოტრაქტორო ელექტრომოწყობილობის ქარხნის დირექტორის ა. ი. პიდრინის შესახებ. 20.00 — მუსიკალური კიოსკი. 20.30 — საჭადრაკო სკოლა ...

... გეგმა და ცხოვრება. 19.30 — კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ცხოვრების პროგრამა. განეხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტებს. 20.15 — ფეხბურთი.

... ოჯახი და სკოლა. 13.10 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 14.10 — ესთეტიკური აღზრდა. 14.40 — მოსწავლეებს ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის შესახებ. 15.10 — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქანდაკება. 15.40

11 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 „ვრემია“. 9.40 — „მოამბე“.

14.25 — კინოჟურნალი „ჩიტი მეველაფერი ვიცოდე“. 14.35 — მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 15.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იაშვილების ოჯახი“. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუ- ...

... ვის „პაოდუკ“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. რეპორტაჟი იუგოსლავიიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი. 23.00 — ფეხბურთი „უეფა“ თასზე მერვედფინალი: საფრანგეთის

11 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო

აკადემიური — ტოსკა (მე-4 აბონ. მე-4 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პროვინციული ამბავი; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ტოოტების ოჯახი (მე-16 აბონ. I წარ- ...

... ში „ავტოგრაფი“ (დიდი საკონცერტო დარბაზი); უკრავს — ა. ლუბიმოვი (ფორტეპიანო) — კონსერვატორიის მცირე დარბაზი.

... ლოვს მესამედ გადაეცემა ჟურნალ „მოლოდოი კომუნისტის“ პრიზი.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06431 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14